ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«LA LUTTE»—Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

პარიზი, აგვისტო 1927 წ. № 26. Paris, Août 1927

1725
1927

29 აგვისტო.

სამი წელი შესრულდა დღიდან ქართველი ერის ადგომის და შემოსეულ მტარვალთა წინააღმდეგ მახვილით დარაზმვის.

საოკუპაციო ხელისუფლების დაუსრულებელი თარეში საქართველოში და ხალხის ელემენტარულ უფლებათა უდიერათ ფეხქვეშ გათელვა 1924 წელს საყოველთაო აჯანყებით დამთავრდა. 29 აგვისტო მებრძოლ საქართველოს უდიდესი ისტორიული ხანაა.

აჯანყება დამარცხდა. გამარჯვებულმა მუხთალმა მტერმა ჩეკასა და ციხეებში დიდი ხნით ადრე გამომწყვდეული ერის მეთაურები და საუკეთესო შვილები ათასობით გაჟლიტა. და აი სისხლით დამთვრალი კომუნისტური ხელისუფლება საბოლოო გამოჯანკვებს დღესასწაულობდა და სისხლიან სუფრისაკენ სხვადასხვა ჯურის მოღალატეთ უმობდა. ერის დროებითი დაუძლურება მის საბოლოო განადგურებათ ჩათვალეს! ასეთი სიბეცე დესპოტის თანდაყოლილი სენია.

და აი ცხოვრების სრულიად გარკვეული პასუხი. ქართველი ერი ფეხზე დგას, ის წელში გამართულია მიუხედავად ისტორიაში ჯერ არსათ ნახული ჯოჯოხეთური რეპრესიისა და თავის უეჭველ გამარჯვებაში დარწმუნებულია, ხოლო ხალხის მოსისხლე მტერი—კომუნისტთა ბანაკი საბოლოოთ გაიხრწნა და აუცილებელ დაცემის მოახლოებს თვით მათ მიმდევართათვისაც ცხადი შეიქნა. ამაში თქვენ დარწმუნდებით თუნდაც ჩვენი გამოცემის მიმდინარე ნომრის გადათვალიერებისას.

მართლაც, გაქრა ილიუზია კომინტერნის მიერ მსოფლიო რევოლიუციის მოწყობის, დამარცხდა ჩიჩერინისა და მისი საგარეო აგენტურის—კომინტერნის ჩხერკედლაობა და დასრულდა საბჭოთა კავშირის იზოლაციაც. ეს განსაკუთრებით ცხადია ინგლისთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ. ამავე დროს გაკოტრდა საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა: იხურება ფაბრიკა-ქარხნები, იზრდება უმუშევრობა და მას თან მოსდევს მთელი ხალხის ჯერ არსათ ნახული გაღატაკება. და აი «გამარჯვებულთა» ბანაკი ირღვევა—სტალინის მომხრენი და ე. წ. ოპოზიცია ერთი მეორეს წინააღმდეგ ირაზმებიან და დღეს თუ არა ხვალ მათ შორის ბრძოლას ძალა გადაჭრის. ასეთია ისტორიის აუცილებელი კარნახი. დესპოტიის ციხე შიგნიდან ტყდება!

ამიტომაც არის საქართველოში კომუნისტურ პარტიას უკვე შორდებიან ის თითო-ოროლა გლეხები და მუშები, რომელნიც თავის დროზე მოტყუებით მიიმხრეს, და უკანასკნელნი ხალხთან თუნდაც ფაღულათ მორიგებას ეძებენ, ხოლო კომუნისტურ კრებებზე საოკუპაციო ხელისუფლების აგენტებს ჩვენი სიტყვებით მიმართავენ: «ოქვენ ეყორნობით რუსის ხიზტებსო».

სამი წლის წინეთ უცხოეთში ჯერ კიდევ სუეროდათ ბოლშევიკური ხელისუფლების «მოჭკვიანებაი» და ევოლიუციონური გზით დემოკრატიისაკენ სვლა. დღეს ეს ზღაპარიც ისტორიას ჩაბარდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ხალხის რევოლიუციონურ ამოძრავების აუცილებლობამ გზა გაიკაფა.

1924 წელს საქართველო ომის ველზე განმარტოებული იდგა, ხოლო დღეს მას გვერდს უმშვენებენ აზერბეიჯანი და მთა, უკრაინა და თურქესტანი. რუსეთის იმპე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რიალიზმის წინააღმდეგ თვით გათვითცნობიერებული ერები წამოდგენ დესპოტიის ამოსაგდებათ და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათა დასამკვიდრებლათ.

1924 წლის აგვანყება დამარცხდა, ხოლო მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი—რუსულ კომუნისმის ამოგდება და საქართველოს განთავისუფლების იდეა თანდათან მტკიცდება და მისი საბოლოო გამარჯვება გვიახლოვდება.

მართალია მტარვალმა გაელიტა ძველ მებრძოლთა თვალსაჩინო ბანაკი, ხელიდან გამოგვტაცა ერის დიდება—ნოე ხომერიკი, ბენია ჩხეიკვშვილი, ვალიკო ჯუღელი, გოგიტა ფალავა, ვასო ნოდია და სხვა ათასები, მაგრამ ვერ ჩაკლა და არც შეეძლო ჩაეკლა ერის განთავისუფლების იდეა. მტარვალთა ბრბო ჯერ არსათ ნახული სიმკაცრით და სადიზმით სიცოცხლეს ასალმებს ან და აწამებს ერის საუკეთესო შვილთ, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ცხოველმყოფელი იდეა ხარცს ისხამს და უფრო და უფრო ვრცელდება ბრძოლაში! და აი ომის ველზე ახალ ახალი რაზმები ჩნდებიან, საშვილიშვილო საქმეს ეწირებიან და განთიადის მოახლოებას ეხმარებიან.

დღეს ჩვენ ვიგონებთ დაღუპულ გმირთა რაზმს, დარწმუნებული რომ მათი სახელი სამუდამოთ აღიბეჭდება მომავალ თაობათა ხსოვნაში და მარავანდედთან შეიმოსება. მთელ ქართველ ერთან, რომელიც ფეხიხლათ და მტკიცეთ დგას თავის უფლებათა სადარაჯოზე, ჩვენ ვესალმებით იმ მებრძოლთ, რომელთა განუწყვეტელი ცდა და თავდადება აღაღვევს რუსულ კომუნიზმის საფუძველს და დემოკრატიულ საქართველოს სუვერენობის აღდგენას აჩქარებს.

ნ. რ

***

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲯᲔᲓᲘᲡ
ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ერთმა ამხანაგმა გადმოგვცა ვალიკოს კერძო წერილი, მიწერილი პირად მეგობრისადმი საფრანგეთიდან 1923 წლის 23 აგვისტოს, ე. ი. სწორედ ერთის წლის წინ მისი დაღუპვისა. ვაქვეყნებთ ზოგიერთ ადგილს ამ წერილიდან, რომელიც სარკესავით გვიჩვენებს მის ნაზ ბუნებას, კეთილშობილ პატრიოტიზმს, წრფელ თავდადებას.

«. . . შიმშილი და წყურვილი სრულიად არ მაშინებს. მით უფრო რომ საფრანგეთში უბრალო ფიზიკური შრომითაც (და ფიზიკა მადლობა ღმერთს შემრჩა!) შეიძლება კაცმა თვეში 500—600 ფრანკი იშოვოს... მაგრამ სწორედ ეს პერსპექტივაა, რომ ყველაზე უფრო მაშინებს—პერსპექტივა საქმეზე, იდეიაზე ჩამოშორების და მხოლოდ თავის ტყავის გატანისა! მართალი გითხრა—ასეთუპერსპექტივო და დანარცხებულ ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია... მე აქ ეხლა ზშირად მიხდება მარტო ცხენით მგზავრობა. ძალიან წაიგავს ყვირილის ხეობას და ამ მარტოობის დროს სულ ვფიქრობ, მარტო საქართველოზე ვოცნებობ! და თუმცა თითქმის სამმა წელმა განვლო, რაც სამშობლოდ დავკარგეთ,—მაგრამ მე მგონია, რომ ეს უბედურება გუშინ მოხდა, რომ კიდევ გუშინწინ ჩვენ საქართველოში ვიყავით და ჩვენი ქვეყნის ჰაერს ვსუნთქავდით. და მე დარწმუნებული ვარ—კიდევ რომ დავრჩეთ უცხოეთში 3, 5, 10 და 20 წელიწადი—ჩვენი წყლულები, ჩვენი ტკივილები და ტანჯვა არამც თუ არ იკლებს, არამედ მოიმატებს!

და განა ასეთ პირობებში შესაძლებელია ცხოვრება?! როცა ყოველ დღე, ყოველ წუთს თვალწინ გიდგას შენი ტანჯული ქვეყანა, როცა ყოველთვის თავს დაგტრიალებენ თახოცილ ამხანაგთა ლანდები და როცა ციხე-სარდაფებიდან შემოგყურებენ წამებულ ამხანაგთა ნაღვლიანი თვალები—განა შესაძლებელია დამშვიდებული და გაწყლული ცხოვრება? არ იფიქრო, რომ ჩემში მარტო ძველი რუსული «პოკოიინსტვო» ლაპარაკობდეს: «პუსტ მენია ვისეკუტ! მუკიკა სეკუტ ეგო! არა—ამ ფსიხოლოგიურ მომენტს (რომელიც გასაგებია) თან ერთვის ის მთავარი მოსაზრება, რომ თუ დროზე არ მიეგებეოდეთ სამშობლოს და დროზე არ გავიღეთ ყველას საჭირო მსხვერპლი—მთელი საქართველო სასაფლაოთ გადაიქცევა! და მერე რადა ეშმაკათ გვინდა ჩვენი ხიზერი თავი?!...»

აჯანყების მსხვერპლნი ჭიათურაში.

სამი წლის წინათ ბორკილ გაყრილი საქართველო აღსდგა და ამცნო მუხანათ მტერს, რომ მას სურს «მისი თავი მასვე ეკუთნოდესო. ძლიერი და ერთსულოვანი იყო ამ სურვილის გამომქმედავნება... მთელი ერი განუზრახველათ სოციალური მდგომარეობისა. ასაკისა და სქესისა თავისუფლების დროშით ხელში ბრძოლის ველზე გამოვიდა. მაგრამ მტერთა სიმძლავრემ ამაყი ნება სძლია... მებრძოლ დემოკრატიას ხმალი გადაუტყდა და ლაჩარმა მოწინააღმდეგემ თავისი სანუკვარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ დრო იხელთა: შური იძია ამაყ სულზე... მებრძოლთა რაზმებს ხელები გაუკრა და უკანნიან ესროლა. ორ-სამ დღის დედის დოდება, ცოლის მოთქმა და ჩვენიანის ცრემლი...

განათლებული კაცობრიობის გონება და ახრი შეაშფოთა ისტორიაში ჯერ არ ნახულმა ამ სიმხეცემ. ქართველი დემოკრატიის საუკეთესო უცხოელმა მეგობრებმა თავისი ახრთა ზეიადობა და მეგრმეტყველობა ამ ველურობის წინააღმდეგ მიმართეს. სამპეოფის ფლიდ დიპლომატიას დასეზრდა ველურობის ეგმართება ევროპის ზენაზე. მსოფლიო დემოკრატიისთვის თვალების ასახვევად ბოლშეევიკებმა საქართველოს აჯანყება კონტრეველიუციურ მოძრაობათ მონათლეს. თავადების აჯანყებათ გამოაცხადეს. სამი წლის თავზე, როცა ძაძებში გახვეული საქართველო კვლავ დაიტირებს მის გმირთა სიფლავებს, კომუნისტების ვიგინდარა კალმოსნები, ეახიანები და მათი მოსყიდული მწერალ-ორატორები სულაქველიძეები, ამ სიფლავების შეგინებას დაიწყებენ. კვლავ გიმეორებენ «თავადების აჯანყებისა» ჯორს. მე მინდა მათ პასუხი გავსცე ჭიათურის გმირთა ჩამოთვლით. მე მინდა მხოლოდ მათი სახელების მო-

30669

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანით აღვნიშნო ამ მწარე დღის მოგონება. და რომ სულაქველიძეებს სირცხვილს გრძნობის ნატამალი შერჩენოდეთ, ისინი გაწითლდებოდენ აქ ჩამოთვლილ მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე.

აი სია, და ისიც ნაწილობრივი, დაღუპულ პიაფურელ გმირთა:

მუშები. სოც.-დემოკრატები: 1) ბერძენიშვილი ილიკო, 2) ცერცვაძე ო
ელ, 3) ცერცვაძე ერემია, 4) დოლიძე შალვა, 5) სალარიძე კალისტრატე, 6) ჯაფარიძე ილიკო, 7) სამყურაშვილი პორფილე (ნიკოლოზის დრამს 5 წლით ციმბირში გადასახლებული), 8) სამყურაშვილი არტემ. 9) ქვედაღ პარმენ, 10) სამხარაძე ილია, 11) ნაღრაძე სანდრო, 12) კეკელიძე ილიკო, 13) გამყრელიძე გრიშა, 14) გამყრელიძე აკაკი. 15) არაბიძე არჩილ, 16) ლოლაძე აკაკი, 17) ჭიჭინაძე ბიქტორ, 18) თოდრია შვილი სოგრატი, 19) ჭაკვანიძე შალვა, 20) კაპანაძე არჩილ, 21) ციმაკურიძე ლადო, 22) ქურციკიძე დათიკო, 23) კაკოიშვილი კოწია, 24) ბარათაშვილი გაბო. 25) გამყრელიძე ნოე. 26) არსენაძე ლადიმერ, 27) კობახიძე სინო, 28) საყვარელიძე სიმონ, 29) ცაბაძე დათიკო, 30) აბულაძე გრიშა, 31) ასათიანი გრიგოლ, 32) ნიკაბაძე რაჟდენ, 33) შეყილაძე გიორგი. 34) ხვედელიძე გიორგი, 35) მაჩიტაძე გიორგი. 36) გაბუნია დარისპან, 37) მიქაბერიძე დომენტი, 38) სამხარაძე ნიტუშ, 39) აბესაძე მიხა. 40) სალარიძე ისაკი, 41) მოდებაძე დიანოს. 42) და 43) ძმები ვაშაძეები: ლადო სოც.-რევ. იონა უპარტიო. უპარტიონი: 44) ჭიჭინაძე ლადიმერ, 45) გელაშვილი დათიკო, 46) ნაფიტვარიძე ლადო.

მიწის მუშები. ს.-დემოკრატები: 47) მიქაძე პოლიკარტე, 48) ხელაძე გიორგი, 49) ჭიჭინაძე გრიგოლ, 50) მიხელიძე მიხეილ, 51) ვარდოსანიძე მოსე, 52) ბრეგვაძე მაქსიმე, 53) გაფრინდაშვილი შალიკო. უპარტიონი: 54) ლილუაშვილი ლადიმერ, 55) დათიაშვილი ლადიმერ, 56) მიქაბერიძე კოწია, 57) მიქაძე ლავრენტი, 58) კვინიხიძე ლავრენტი, 59) ცქიფურიშვილი მიხა.

მოწაფეები და სტუდენტები (ყველანი მშრომელთა შვილები). სოც.-დემ.: 60) სამყურაშვილი კოწია (პორფირეს შვილი). 61) სამხარაძე პარმენ. 62) ხარშილაძე ნიკო, 73) შარაშიძე ნიკო, 64) სარალიძე კოლია, 65) ფხალაძე ვანო, 66) ჯაჯანიძე მიშა, 67) ჯაფარიძე თენგიზ, 68) კოკაიშვილი ჭუკია, 69) ლოსაბერიძე რაჟდენ. 70) კეკელიძე გრიშა. სოც.-ფედ.: 71) იაშვილი ჭუნა.

მასწავლებლები. სოც.-დემრატები: 72) და 73) ძმები მაჭარაშვილები სერაპიონ და ვალიკო, 74) მაჭარაშვილი ალექსანდრე, 75) უგლოვა კონსტანტინე, 76) კაკაბაძე ბესარიონ, 77) გორდაძე სიმონ, 78) ბოჭორიშვილი ტერენტი. უპარტიო: 79) აბაშიძე ვანო.

დაწესებულებათა მოსამსახურენი. ს.-დემ.: 80) მელიქოვი ბიქტორ, 81) ჩხენკელი ვანო, 82) ჯორბენაძე ვალოდია. 83) წერეთელი ნიკუშა. 84) იოსელიანი გოლა, 85) ჯუღელი შალიკო, 86) რობაქიძე გიორგი. სოც.-ფედერალისტი: 87) მასხარაშვილი ლავრენტი. უპარტიონი: 88) წერეთელი გიორგი, 89) მოდებაძე კიმოთე. 90) ხვედელიძე ლავრენტი.

სამხედრო პირნი. 91) წერეთელი ეკო, ერ.-დემ., 92) მიქაშავიძე ვალერიან, სოც.-ფედ., 93) ბურჯანაძე ლადო, სოც.-დემ., 94) მოდებაძე ნიკო, უპარტიო.

მრეწველები. ეროვ.-დემოკ.: 96) წერეთელი ნესტორ, 97) წერეთელი სანდრო. მემპრცხნე ს.-რევ.: 98) გაფრინდაშვილი ალექსანდრე.

ვილიკო ჩუბინიძე.

ეამიუკიეიეშლიშის სალარაჯიზე.

(ძმები დოსიფე და ამბროსი გაჩეჩილაძეები)

დღესაც არ არის გარკვეული და აღრიცხული 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ყველა წამებულთა ვინაობა და რაოდენობა. სულ ახლახან მოაღწია ჩვენამდე ცნობამ ძმათა გაჩიჩილაძეების დახვრეტის შესახებ.

უფროსი მათგანი, დოსიფე, მიუხედავად მისი ახალგაზდობისა, იყო საკმაოთ ცნობილი სინდიკალური მოღვაწე და საპატიო ადგილი ეჭირა მუშათა პროფ. მოძრაობის ხელმძღვანელთა შორის. რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე, ის წევრი იყო საქ. კავშირთა ცენტრის აღმასრულებელი კომიტეტისა. ოკუპაციის შემდეგ შემოდიოდა კავშირთა არალეგალურ ცენტრში და იყო მისი აქტიური და ენერგიული მუშაკი. მისი ერთათ ერთი «კონტრევოლუცი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ონური დანაშაულობა» იყო მისი თავდადებული მოღვაწეობა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვისათვის. უმწეოკელი და უანგარო სამსახური მუშათა კლასის საქმისა.

მუშა მოსამსახურეთა პატივისცემა, უზომო სიყვარული და კარგი სახელი დაიმსახურა მან დაუღალავი და ენერგიული მუშაობით, რასაც ცოდნაც ხელს უწყობდა. მისი სიღინჯე, საღი აზროვნება და შორსმჭვრეტელობა იყო მიზეზი მისი ესოდენ დაწინაურებისა.

ორივე კარგი მოლაპარაკე იყო, მას ყოველთვის სიამოვნებით და პატივისცემით უსმენდენ. განსაკუთრებით პატივსაცემდენ მას ყველა მოოპოზიციო ელემენტები ფედერალისტური, ს. რ. და სხ. ის კარგად გრძნობდა, რომ ვიწრო პარტიულობა მის პოსტზე არ გამოდგებოდა და ყოველთვის მიუდგომოობას და ყურადღებას იჩენდა მოწინააღმდეგეთა მიმართ.

ყველამ იცის, რა სამსახური გაუწია ნორჩ რესპუბლიკას ფოსტა-ტელეგრაფის კავშირმა, რომელსაც დოსიფე ხელმძღვანელობდა. კომუნისტებმა ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს ამ კავშირის ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ დიდხანს ვერაფერს გახდენ: არ უშველა მათ არც ჩეკამ და არც კომსომოლმა, მათ მიერ მოწვეულ ყრილობაზე უმრავლესობა მათი შეურიგებელი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. ყრილობაზე წაკითხულ იქნა შესანიშნავი დეკლარაცია, რომელიც ოკუპაციის მოხსნას მოითხოვდა. ამის შემდეგ კომუნისტებმა გააორკეცეს რეპრესიები კავშირის გასანადგურებლათ.

როდესაც მათ პირველი ეგრეთწოდებული «თავისუფალი» ყრილობა მოიწვიეს, რომელზედაც ძველ მოღვაწეთაგანი აღარავინ გაუჩენიანეს, დოსოფემ შესძლო მანდამიანი მიღება და გააკეთა ყრილობაზე ისტორიული გამოსვლა. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მტრის საქმიანობა. კომუნისტების აღშფოთებას აღარ ქონდა საზღვარი. ყველანი მოელოდენ დოსიფეს იქვე დაპატიმრებას, მაგრამ რაღაც მანქანით ეს არ მოხდა. სამაგიეროთ ტრიბუნაზე ავლენ ბის საპასუხოთ თვით სერგო ორჯონიკიძე და შემდეგ ბოლშევიკების ოქროპირი კიროვი. უკანასკნელმა თავი ვეღარ შეიკავა და განცვიფრება გამოსთქვა, რომ ასეთი აშკარა მენშევიკი და კონტრრევოლუციონერი კიღევ თავისუფლათ დადის.

ამ გამოსვლამ გადასწყვიტა დოსიფეს ბედი, ის გააგზავნეს სადღაც მიყრუებულ სოფელში კანტორის გამგეთ. აგვანებიის დღეებში ალბათ შეიპყრეს და გაუგზავნეს მედგარი და შეუპოვარი გული. მას დარჩა წვრილი ცოლშვილი უპატრონოთ და უყურადღებოთ...

დოსიფე დაიბადა სოფ. გუნდაეთში (შორაპნის მაზრა), სწავლა მიიღო ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში. იქაური მუშათა მოძრაობის ზედგავლენით ის მალე გასოციალდემოკრატდა და დაიწყო პარტიაში მუშაობა.

მისი უმცროსი ძმა ამბროსი, ხელოვნით აგრონომი, მსახურობდა თელავში. ის მე გავიცანი მეტეხის ციხეში, სადაც ჩვენ ათი თვე ერთათ ვიყავით. მშვიდი, წყნარი, ის მეტათ ნაზი გული ჭაბუკი იყო. მას ალბათ თფილისში მოუღეს ბოლო...

ამ ორი ძმის სახით ერმა დაკარგა თავისუფლების და დამოუკიდებლობის სპეტაკი და ენერგიული დარაჯები.

Ш. ᲐᲠᲪᲘ-Ო.

ᲫᲕᲠᲘᲐᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲮᲜᲘᲒᲜᲐ

(ნიკო ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ)

სამი წლის თავზე კი უნდა გამოვეთხოვოთ ტკბილ ზღაპარს და ვიწამოთ მწარე სინამდვილე... უნდა ვიწამოთ, რომ ზესტაფონის რკინის გზის სადგურის გადადმა მდგარ დახურულ ვაგონზე დაშენილმა ტყვიამ ნიკოს მეზნებარე გული სასიკვდილო ამბორი შესთავაზა... არ იყო სურვილი ამის დაჯერებისა და გრძნობა ზღაპარს ელამუნებოდა.—ზღაპარს, რომ ნიკო არ მომკვდარა, რომ ის შემთხვევით გადარჩა...

ოცნებით ქცეული ნიკოს სახე ვეღარ ვიხილეთ და მის გადარჩენის ამბავს ზვი ზეწარი გადაეფარა... და დაგვრჩა მხოლოდ მოგონება მასზე. ვინც ათასეული დღეების მანძილზე ჩვენთან ერთად შეუსვენებლივ ზიდა ძმიმე ჯვარი მოვალეობისა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ერის ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალმა დააკისრა ქართველ ახალგაზდობის ავანგარდს, ახ.-გაზ. მარქსისტთა ორგანიზაციას...

ჩვენთან ერთად და ჩვენზე მეტი სიამაყითა და მხნეობით... ჩვენი ნიკო. მუდამ ჩვენთან მყოფი კენტით დარჩა როცა 1923 წლის დასასრულს ჩვენ დაგვგაპატიმრეს. და გაათავეცებულ მოვალეობას ის გასაკეცებული ენერგიით უპასუხებდა. ის იყო ფაქტიური ხელმძღვანელი ამ დროს შორაპნის მაზრის ახალგაზდათა მოძრაობის...

ბედის დაცინვით ის კენტათვე დააპატიმრეს, როცა ჩვენ უკვე თავისუფალი ვიყავით.

ექვსი თვის დასასრულს ქუთაისისის საგუბერნიო ჩეკიდან განთავისუფლებულ ნაწამებ ნიკოს შევხვდით... ჩოხრჩხათ ქცეული ლანდსა ჰგავდა, მაყვალოვით შავი ულვაშები მოზრდოდა და ბროლივით თეთრ კბილებს უნებურათ აჩენდა ჩვენი ნახვით გახარებული. მისი თხოვნა არ შევიწყნარეთ, შევბულება მივეცით და სოფელში დასასვენებლათ გავგზავნეთ...

ნიკო არაოდეს გვაპატიებს: ბრძოლის სამზადისი გამოვაპარეთ და აგვისტოს დღეებისათვის ჭიათურაში არ დავიბარეთ. მოვიერიდეთ ახლად ციხიდან დაბრუნებულს. ამპარტავანმა მებრძოლმა ასეთ ჩვენ კადნიერებას მით უპასუხა, რომ გაიგო თუ არა შემთხვევით მომავალ ბრძოლის ამბავი, ჭიათურის მაგიერ საჩხერეში გაჩნდა... საჩხერის დაცემის უკანასკნელ წუთამდეს ნიკო თავის პოსტს არ მოხსნია. გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა და ჭიათურის დაცემის შემდეგ ზშირათ თქვენ ბედზე კითხულობდაო... ასე გადმოგვცემს მისი მნახველი.

მუდამ ჩვენზე მზრუნველმა საკუთარი თავისთვის არ იზრუნა. მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უბადლო მორჩილი ის ვერაგ მტერს ხელში ჩაუვარდა... და ლარჩრებმა გმრი ლარჩული ზომით მოკლეს. მშფოთარე ნიკოს ხელები გაუკრეს და ჩვენ «ნიეიერო» კოლიასან (სარალიძე), «ჭკუიან» პარმენთან (სამხარაძე). «ფიეკ-მეკ» აკაკისთან (ლოლაძე) და სხვა მრავალ ძვირფას მეგობარ-ნაცნობებთან საბედისწერო ვაგონში ჩამწყვდეული ტყვიის ფრქვეველით მოკლეს...

ნიკოს მოსიყვარულე გული არ გვისაყვედურებს, რომ ამ დროს ჩვენც მასთან არ ვიყავით. მაგრამ ჩვენ მის წინაშე სხვაფრივ გვაწევს მძიმე პასუხისმგებლობა: არა სურისძიება—ეს ნიკოს რაინდული სულს არ შეშვენის,—არამედ ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე იმ წმიდა საქმისათვის, რომლის ცოცხალმყოფელობაზე ხუთი ათასი საფლავი მეტყველებს. ნიკოს ხანმოკლე ცხოვრების ლამპარა გზა ჩვენი გზის მანათობელი ლამპარი იქნება ამ ბრძოლაში.

იყავ დამშვიდებით, ძვირფასო მეგობარო! ჩვენ მზათა ვართ შეუდრეკლათ ვიაროთ შენს მიერ ნაჩვენები გზით და როცა დადგება ჟამი ჩვენი ჰარდილების ერთად შეყრისა, შენ არ შეგრცხვება ჩვენი წრსულის და უწინდბურათ შემოგვეგებები როგორც სწორი სწორთ.

მეგობრები: ვასო, სიმონ, გრიშა.

ჩეკა და პოლიტიკური სამართველო.

(წერილი საქართველოდან)

ხუთ ნახევარი წლის მძვინვარების შემდეგ გასისხლიანებულმა მტარვალმა სისხლით დაცლილ ერს თითქოს ლმობიერების თვალით გადმოხედა. ჩეკა გაუუქმა და პოლიტიკური სამართველო შემოიღო.

ჩეკა! ეს ისეთი ველურობისა და სადისტობის სამარცხვინო, ლაქაა თვით ბოლშევიკების რეაქციონურ მოდვაწეობის ბნელ ფოსტზედაც კი. რომ მას დრო ვერ წაშლის და ის მთელი თავისი სიცოხველითა და საშინელებით დაუდგება წინ მომავალ თაობებს.

თითქო ჩეკა კონტრრევოლიუციასთან ბრძოლის მიზნით იყო დაარსებული; მაგრამ რევოლიუციათა ისტორია არ იცნობს მსგავს რაიმეს. მართალია, რევოლიუციური ხელისუფლება ზშირათ მიმართავდა რეპრესიებს რევოლიუციის მტერთა წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი რეპრესიები აშკარათ და საჯაროთ ხდებოდა. სასტიკი და დაუნდობელი იყო რევოლუციური ტრიბუნალი საფრანგეთში. მაგრამ ის თავის სისასტი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კეს არ ფარავდა, მას არავინი ეშინოდა. ხალხის თანგრძნობაზე დაყრდნობილი, ის ხალხის მოწინააღმდეგეთ აწყარა და გაბედულ ბრძოლას აძლევდა.

სულ სხვა მდგომარეობა იყო რუსეთში. აქ საგანგებო კომისია არ ყოფილა რევოლიუციის გამამტკიცებელი ორგანო. პირიქით, ის მისი დამარცხების ორგანო იყო. თებერვლის რევოლიუციის მესაფლავეებს თავიანთი ბატონობის გასახანგრძლივებლად უნდა შეექმნათ გაუგონარ რეპრესიების გამჩაღებელი ორგანიზაცია და შექმნეს ჩეკა. მოუულოდნელი გამარჯვებით თავბრუდახვეულ ავანტიურისტებს უნდა გამოეგონათ ხალხის დამმონებელი ორგანო და გამოიგონეს საკანგებო კომისია. მეფდგება საშინელი ტერორი: ჩეკა ჯალათ ძერჟინსკის მეთაურობით ასობით და ათასობით ხვრეტს ხალხს. ხვრეტს საქმის გაურჩევლად, ბრალდების წაყენებლადაც, გაუსმართლებლად, ხშირად დაუკითხავად, მოუსმენლად.

საქართველოს საკანგებო კომისია ხომ კიდევ უარესი უნდა ყოფილიყო. მოსკოვის აგენტები ჩვენი ქვეყნის დაპყრობიდანვე გრძნობდენ, რომ მათ ქვეშ ნიადაგი ირყეოდა, რომ ისინი მხოლოდ დროებიან მინელებულ ეულკანის პირას ისხდენ. და განა შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო აქ, საქართველოში, სადაც მათ ხედებოდა მთლიანი რევოლუციური ქართველი ხალხი და ათეული წლებით მედგარ ბრძოლებში ნაზრთობი სოციალდემოკრატია. ამიტომაც მათ აქ კიდევ მტერს სისასტიკით უნდა აემოქმედებიათ თავიანთი ბატონობის განმამტკიცებელი ორგანიზაცია. და მართლაც სხქ. საგანგებო კომ. სისხლიანმა მოღვაწეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთში უქმდება საგანგებო კომისია და ტფილისის ჩეკაში იკრიბებიან რუსეთის სივრცეებიდან გადმოხვეწილი სისხლმწყურვალე ჯალათები საქართველო ხდება მათ სახარულ ბოროტ მოქმედებათა მთავარი არე.

და ან ეხლა თითქოს ფორმალურად მაინც საქართველოშიაც გაიუქმეს ჩეკა. ჩვენ გვიდა ავფიშნოთ ამ წყევლითა და კეკლეკითა მოსაგონარ დაწესებულების გაუქმება. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შევსძლებთ მისი მოღვაწეობის სრულ დახასიათებას: დღეკანდელ პირობებში ეს მიუწვდომელია. ჩვენ გვინდა მხოლოდ ზოგადად გადავავლოთ თვალი მის სისხლიან საქმიანობას საქართველოში და მის გამანადგურებელ მოღვაწეობიდან აღვადგინოთ მხოლოდ მთავარი მომენტები.

1921 წელი.

საქართველოს ვერაგულათ დაპყრობამ მოსკოველთ მიერ ერი და მისი დამპყრობნი თავიდანვე ორ მტრად, შეურიგებელ ბანაკებში მოაქცია, მათ შორის უფსკრული გაავლო, ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთმანეთს დაუპირდაპირა. ასეთ მტრობისა და დაპირდაპირების პირობებში ისახება და იწყებს მუშაობას საქართველოს საგანგებო კომისია, რომლის პირდაპირი დანიშნულება საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ პოლიტიკურ პარტიების განადგურება და ქართველი ხალხის მოსკოვისათვის დამორჩილება. ასეთ ბნელ მიზნებისათვის დამპყრობნი იდეური ბრძოლის ფარხმალი არ გამოადგებოდათ. ისინი იდეურთან წინ ვერ აღუდგებოდნენ სოციალდემოკრატას, რომლისაგან არა ერთი და ორი დამარცხება განუცდიათ წარსულში. და იდეურ ბრძოლის ადგილს იჭერს საგანგებო კომისია.

ქუთაისში პროვოკაციელ ბომბის გასროლით, შანტაჟისტ გეგეჭკორეს თავდასხმის სიმულიაციის მოწყობით—ჩეკას ერთთაში იფოშეში მიაქვს სოციალდემოკრატიაზე. ხდება მთელს საქართველოში პარტიის წეგრთა და ხელმძღვანელთა დაპატიმრება. ამის შემდეგ თფილისში ჩამოდის ტალინი. საქართველოს პროლეტარიატის მიერ თავიდანვე უარყოფილი და გარიყული ეს გაიძეგრა ინტრიგანი ბედაეს თფილისის ნაშრთობა ჯალის წინაშე საჯარო მოხსენების გაკეთებას. წინაალმდეგობას უჩვევი დიქტატორი ნაძალადევშიაც მონურ შეხვედრას მოელის. მაგრამ სტაყუვდება: მუშებით სავსე თეატრის დარბაზი მას ლაპარაკის საშვალებას არ აძლევს, ტრიბუნაზე გამოსულო სოციალ-დემოკრატ ორატორებს ოვაციებს უმართავს და კრება ბეგრ ეროდიოზულ საპროტესტო დემონსტრაციის სახეს. ჩეკას საქმე ეჩნდება. თავისუფლათ დარჩენილ ცოტათ თუ ბეგრათ თვალსაჩინო მოღვაწეთ პარტიისას აპატიმრებენ. რკინისგზის დეპო-სახელოსნოებიდან და ტრამვაიდან მოწინავე მუშებს ხსნიან და ციხეებში ჩაკრიან... ამის შემდეგ, ნოემბერში, ტფილისის პროლეტარიატი თავის წრიდან ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ხელისუფლებასთან წარსაგზავნათ მუშათა დელეგაციას.—დელეგაცია არჩეულია ყველა უბნებიდან და მას რევოლუციურ მუშათა კლასის მიერ დავალებული ექმნა საქართველოს მშრომელთა ნების ყოფა აცნობოს საოკუპაციო მთავრობას. მაგრამ მილებისა და მოსმენის ნაცვლათ, «ბუდუ ზდოვინაძე» დელეგაციას ჩეკაში უკრავს თავს. ჩეკას ახალ დირექტივებს აძლევენ სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ დაუზოგველ რეპრესიების გაჩაღების შესახებ. ჩვენი პარტიიდან მალე სხვა პარტიებზე და უპარტიო მოქალაქეებზე გადადიან. მთელი ქართველი ერი ეშვის ქვეშაა დაყენებული. კანონს გარეშეა გამოცხადებული. ასობით და ათასობით ადგილებიდან ხსნიან და ჭუჭებში ერეკებიან ქართველ მუშა-მოსამსახურეებს. ბევრი რჩეული მოდღეწისა და მათ შორის ჩვენი სპეტაკი პარმენის სათუთი ბუნება ვერ იტანს ტუსაღის ძმიმე რეჟიმს და ის საპყრობილეში ათავებს მდიდარ შინაარსიან სიცოცხლის დღეებს... ციხეები აივსო ხალხით, მაგრამ ჩეკას ეს არ ყოფნის. იწყება თითო-ოროლა მებრძოლთა ხვრეტა: ხვრეტენ პოლკოვნიკ ლექანიძეს, ფავლენიშვილს და სხვებს საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ბოლშევიკებთან წოდებულ ბანდიტთა ბრბოების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ჩეკა წუთისოფელს ასალმებს შეუპოვარ მებრაზშვილს, ქუთა ისში ხვრეტს მასწავლებელ სოციალდემოკრატ ტრაპაიძეს, სახალხო გვარიელთ ჭანიშვილს, გიგინიშვილს და სხვებს.

1922 წელი.

გლოვით იწყება ეს წელიწადი. შავი თებერვალი კიდევ უფრო მწუხრდება საყვარელი ლეო ნათაძის და ძვირფასი სილვას დაკარგვით. სოციალდემოკრატიულ პარტიის სინიდისათ და პატიოსნებათ ცხონილი სილვა, ჩეკასა და საპყრობილეში ჯდომით დაავათმყოფებული, 17 თებერვალს განუტევებს სულს არალეგალურ ბინაზე. დეფნილი, ცოლშვილს მოწყვეტილი... ჩვენი იმედი, ჩვენი გამამხნევებელი სილვა ჩეკის მსხვერპლი ხდება და ამ საზიზღარ ორგანოს ბინძური ხელები ეხება მხეცავნი წინამძღოლის უწმინდეს ნეშთსაც. ჩეკა კუბაში ჩასვენებულ სილვას ძალით იტაცებს, მალულათ ასაფლავებს და სამარეს დარაჯებს უყენებს... სოციალდემოკრატიას იმის საშვალებასაც კი არ აძლევს ულმობელი მტერი, რომ მოინახულოს და დაიტიროს ძვირფასი საფლავი. სილიბისტროს გარდაცვალების წინა დღეებში, 11 თებერვალს, ოფეს ურდოთა შემოსეულს წლის თავზე მთელ საქართველოში იმართება მოსწავლე ახალგაზდობის სამგლოვიარო და საპროტესტო დემონსტრაციები. ჩეკისტთა ბრბოები ყველგან შეუბრალებლათ და უხეშათ უსწორდებიან ნორჩ თაობას. იხმარიებენ ცეცხლის მქრობელთა რაზმებს, ოფოლვეერებსა და თოფებსაც კი მიმართავენ. ლანჩხუთში მოჰკლეს კიდეც ერთი. თფილისში ველური ჩეკისტები მოსწავლე ქალებსაც კი თმებით ათრევდენ რუსთველის გამზირზე... სამი თვის შემდეგ,—24. 25—26 მაისს—საქართველოს დამოუკიდებლობის უკვდავ დღეს—ეწყობა მასიური პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები. შეიარაღებულ ჩეკისტებსა და უიარაღო დემონსტრანტებს შორის ალაგალაგ შეტაკებები ხდება. თფილისში, ზორაპანში დემონსტრაციებს ტყვეებით უმანსსინძლდებიენ, ხოლო გურიაში მიტინგს ბომბებს ესვრიან. კვდება რამდენიმე კაცი და იჭრება ორმოცამდე. ამასთან ერთათ ხდება მასიური დაპატიმრება. საქართველოს ციხეები კვლავ ივსება ქართველი ხალხით. პატიმართა მრავალრიცხოვანი ჯგუფები იგზავნებიან გერმანიაში, რუსეთის საკატორღო ციხეებში, შუა აზიის უსიცოცხლო მიდამოებში... ამ წლის სექტემბერში, მტერი დამსჯელ რაზმებს უსვამს დუშეთის მაზრის მოსახლეობას, ხოლო ნეფსურეთს მიწასთან ასწორებს. მთელი წლის განმავლობაში აუტანელი რეპრესიები მძვინვარებს მთელ კახეთში. სიღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში ერთ ღამეს გელაშვილს რუსი ოფიცერ არმიელები სკარცვავენ, ცოლშვილიანთ ყლეტენ, ერთი ოჯახიდან გაიქეთ 17 კუბი...

ამავე წელში ოზურგეთის ჩეკის თავმჯდომარე თავისი ხელითი ხვრეტს ათ პოლიტიკურ პატიმარს, მათ შორის 1903 წლიდან ს.-დ. პარტიის წევრს, მამულაიშვილს.

1923 წელი.

დამპყრობელთა სისხლიანი ბუნება თანდათან აშკარავდება. საქართველოს რევოლუციურ კერას—გურიას აწიოკებენ. გაყაჩაღებულ ბოლშევიკ მანწყავას რაზმის წი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნაადმდგ გაგზავნილი ჯარი ცნობილ ობოლების მეთაურობით ღვთის რისხვათ ეველნება გურიის მშვიდობიან მოსახლეობას. ტყეებში გაჭრილ ყარაგებთან უძლური ობოლაძე შურს იძიებს ბინაადარ. მშრომელ გურიაზე. ეს ჯალათი ხვრეტს ჯლეხებს და მათ გასისხლიანებულ გვამებს ყვავ-ყორნების და ძაღლების საჯიჯგნათ ჰყრის თვალსაჩინო—ოზურგეთის შემავალ ბუბეზე, რათა ასეთი გულშემზარავი სურათით ტერორის ქვეშ დაიყენონ მოსახლეობა... ობოლაძე სხვა მრავალთა შორის ᲛᲬᲕᲐᲒᲘᲡ მანწყავას ძმის—ვასილის სახლს და ეს გულქვა სადისტი თავის ხელით ცეცხლის ალში აგდებს და ცოცხალთ სწვავს სახლის პატრონის 12 წლის ვაჟს. ამ ბარბაროსს, ამ თავშეფეკავებულ მსეცს გასაკვი მიზეზით ჰკლავს მანწყავას ნათესავი და პირადი მეგობარი. და ეს ხდება საბაბით კიდევ უარესი რეპრესიებისა. მკვდელობის დღიდან იწყებენ ოზურგეთში უდანაშაულო ხალხის მასიურად ხვრეტას. ტფილისის ციხეებიდან გაყავთ და წუთისოფელს ასალმებენ 92 მოქალაქეს. მათ შორის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეებს: კოოპერატორ, ძველ ს. დ. ხუხუნაიშვილს, ყოფილ ელჩს საქართველოსა უკრაინაში ვარენშვილს ს. დ. 1903 წლიდან, თარგამაძეს—ლანჩხუთის გიმნაზიის დირექტორს და სხვებს. გურიაში ინიშნება საგანგებო ხუთეული, დამსჯელ ჯარაებს ემატება ახალი ჯარები ახალ ჯალათ ტალახაძის ხელმძღვანელობით და გრძელდება სისლის ღვრა... დაბვრეტასა და დაწვას გადარჩენილ გლეხობას ადებენ აუტანელ გადასახადს და ამ რიგად სრულიათ ანადგურებენ თავისუფლებისა და სამშობლოს მოყვარულ რევოლუციურ გურიას.

მოძალადეები გრძნობენ ატმოსფერის თანდათან შეხუთვას, და მოსალოდნელ ეროვნულ აჯანყების უხეიმძღვანელოთ დატოვების მიზნით ჩვენი ქვეყნის ჯალათები ჯალათურათ უსწორდებიან ქართველი ერის სამხედრო მეთაურებს, გარდა ორიოდე გენერლისა,—რომლებმაც თავისი შემდეგი მოღალატური მოღვაწეობით მეტათ საეჭვოთ გახადეს ჩეკის კლანჭებიდან თავის დახსნის ბნელი მოცული ფაქტი.—საუკეთესო სარდლებს და გამორჩენილ მოღვაწეთ ხელიდან გვაცლიან; საერთო პატიჟისცემა და ნდობა დამსახურებული, დიდი პატრიოტი კოტე აბხაზი, ყველას მიერ პატივცემული ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკაშვილი, მუსხელაშვილი, სამბაგალითო და საყვარელი ოფიცერი ხამპიანშვილი, ბუხრახსეი და სხვები.

ამავე წელში ჩეკა ატარებს ე. წ. სოც. დემ. პარტიის სალიკვიდაციო კამპანიას. ეს მუშობა გურიაში იწყება. ცისეებში ჩაყრილ და დამსჯელი რაზმების მიერ შემრეკალულ სოფლებში მცხოვრებ გლეხთა განთავისუფლების და ცოცხლათ დატოვების პირობათ აღიარებულ იქმნა ჩეკის მიერ წინასწარ შეთხზულ სამარცვინო განცხადებაზე ხელისმოწერა—სოც. დემ. პარტიიდან გამოსვლის შესახებ. და მართალაც ფიზიკური მოსპობის წინაშე დამდგარი გლეხი ხშირად თანხმდებოდა მოეწერა ხელი ასეთი ტექსტისათვის, მით უმეტეს, რამ მას არავინ ეკითხებოდა იყო თუ არა ის პარტიის წევრი. ქვეყნდება პრესაში ინა პარტიიდან გასულებისა. ჩეკა ასეთ მუშაობას სხვა მაზრაებიაც და ქალაქებშიაც აწარმოუებს. თითო-ოროლა პარტიის სულმდაბალი წევრი და უმთავრესათ კი უპარტიო მასა «ტოვუენენ» ს. დ. რიგებს. იქმნება პიროობები სალიკვიდაციო ფარსის გათამაშებისათვის. სპეირო გმირი და გმირებიც ჩნდებიან ფარნიევის, რუხაძის და სხვათა სახით. ატარებენ «სალიკვიდაციო კონფერენციებს», «12 ათასი» დამფრთხალი ინტიკეტის სახელით დაშლილათ აცხადებენ სოციალდემოკრატიას! მაგრამ ს. დ. რიგებში მაინც მტკიცეა; ფარნიევის «პლატფორმაზე დამდგარი» პარტიის ნამდვილი წევრები მონანიების განცხადებით აწყვიანან პარტიის კვდლებს და ჩვენს რიგებში ჩადგომას მოითხოვენ... ბევრს ამ ხელმომწერთა-განს ასახლებენ, ბევრს ხვრეტენ, ბევრს საპყრობილეში ყრიან. მეორნე-გლეხი ბუბანაშვილი, რომელმაც გაბედა და სალიკვიდაციო კონფერენციაზე განაცხადა, რომ ის აიძულეს მონაწილეობა მიეღო ამ მუშაობაში და რომ ადგილობრივი კონფერენციები ძალდატანების ქვეშ ხდებოდა. იმსხვერპლეა მის გულწრფელობამ და სიმარნილის სიყვარულმა. მუურანიშვილს იბარებს თავის კაბინეთში მოსკოვის აგენტი ორახელაშვილი და წინადადებას აძლევს პატიოსან გლეხს გამოვიდეს პრესაში განცხადებით, რომ ის მოსყიდული იყო არალეგალურ მენშევიკურ ცეკას მიერ და მისივე დავალებით გამოდიოდა «სალიკვიდაციო ყრილობაზე»; და რადგან ასეთი სახიზღარი წინადადება არ ეკარება მურანიშვილის სპეტაკსა და შეუბღალავ ბუნებას, მას საგანგებო კომისია აპატიმრებს, ტანს ხდის და ტილოს ტომრებში გახვეულს რამდენიმე თვის განმავლობაში აწამებს საყინულეებში, ხოლო შემდეგ—აგვისტოს დღეებში—სხვა მრავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულიშვილთან ერთათ მას ბოლოს ულებს. მურვანიშვილი ერთი იმ მრავალთაგანი იყო, რომელთაც ჩვენი პარტიიდან გასულათ თვლიდა მტერი. პარტია, ჩეკის სიტყვით, აღარ არსებობდა და აი, ამ «არ არსებულო» პარტიის ხელმეორე «ლიკვიდაციის» საკიროებას უტიფრათ აღიარებს ჩეკა აგვისტოს ამბოხების შემდეგ.

ასეთივე ფარსი გათამაშდა ახალგაზდა მარქსისტთა მიმართაც. ჩეკამ აქაც იშოვა ორიოდე ვეოცსლის მოყვარული პირი და 1923 წ. შემოდგომაზე ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაცია «ერთხელ და სამუდამო დამშალილათ» გამოცხადდა.

მაგრამ მსგავსი «ლიკვიდატორული მოძრაობა» ფართე მასებში მხოლოდ ზიზღს იწვევდა, ხოლო თითოეოროლა მოსყიდულ რენეგატების ნაცვლათ ათეულ და ასეულ ახალ მუშებს პარტიის რიგებში აყენებდა.

1924 წელი.

ყველაზე საშინელი, ყველაზე მტკივნეული წელი... სამნახევარი წლის წამებით მოთმინებიდან გამოსული ერი იარაღით ხელში გამოდის მოსისხლე მტრის დასამხობათ. მაგრამ თავისუფლების მოყვარული ხალხი მარცხდება ფიზიკურათ ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეტაკებაში. და 30 აგვისტოდან, იმ დღიდან, რომლიდანაც ბრძოლის სასწორობა დამპყრობელთა სასარგებლოთ დაიწყო გადახრა,—ბოლშევიკი და ბაბორორტებული მტარვალი იწყებს უსასტიკეს შურისძიებას.

30-31 აგვისტო... 1, 2, 3. 4 სექტემბერი საშინელი სისხლიანი დღეები... დახვრეტილთა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ათასეული... დღისით ჩეკის სარდაფებს ავსებენ ცხეებიდან გადაყვანილ პატიმრებით, ქუჩებში და ბინებზე ახლად დატყვევებულ უდანაშაულო მოქალაქეებით. ღამ-ღამობით კი სერგიევის და პეტრე დიდის ქუჩებიდან სამი მიმართულებით ეზიდებიან საბრაო ავტომობილები ხელფეხ გაკოსილ მამულიშვილთა ჯგუფებს. საბურთალოს, ორთაჭალის და კოჯორის მხარეზე მათ მოელის უწმინდურ ხელით გათხრილი წმინდა და სამმო საფლავები... ვეირფალი საფლავები, რომელთაც დღემდე დაეყრებს ქართველი ერი... შეუსეენებლათ მოქმედებენ «ჩაკ ჩეკისა» და «გრუზჩეკის» ჯალათები. ე. წ. «დეტენეკაც» ხომ სისხლში სცურავს ამ დღეებში: ოკეანის გზის საგანგებო კომისია დამოუკიდებლათ მოქმედობს და მასიურათ ხვრეტს როგორც თვალისშინა, ისე ხაზზე დაპატიმრებულთა ჯგუფებს... კიდევ უარესი ამბები ხდება პროვინციებში. ფეამბოხეთა სასლკარის გადაწვა-გადაბუგვასთან ერთათ უპატრონოთ მიტოვებულ ცოლშვილთა მიმართ წარმოუდგენელ ძალმომრეობას იჩენენ, ხალხს განუკითხავათ და დაუნდობლათ ხვრეტენ. ჭიათურისა და სახეხრის მიდამოებში დაპატიმრებულ მოქალაქეებით სავსე სამი «ტეკელეტკა» ვაგონებს ზესტაფონ-სვირის შუა ტყვიის მფრქვეველებს უშენენ და ყველას ერთიანათ ყლეტენ... რესპუბლიკის ყველა ცხეებიდან გაპყავთ ადრევე პატიმრობაში მყოფთა თუ ახლად დატყვევებულთა ათეულები... ბათომისა და ფოთის, სენაკისა და ზუგდიდის, ოზურგეთისა და ქუთაისის, ზორაპნისა და გორის. სიღნაღისა და თელავის, დუშეთისა და ბორჩალოს ციხეებიდან მამულიშვილთა წყებები მიემართებიან დამოუკიდებლობის სამსხვერპლოსაკენ...

ჯალათთა სისხლიანი ხელი სწვდება შორეულ ჩრდილოეთის სუფდალის ციხეში მეჯოგმან ხომერიკს, ჩხიკვიშვილს, ფაღავას, ნოდიას. წინაძმდვარიშვილს და ქართველ ერის საუკეთესო შვილთ სიცოცხლეს უსპობს სადღაც რუსეთის ეიალ ველებში... სისხლის ღვრას ბოლო არ უჩანს, ვიდრე ტყვეთ ჩავარდნილი დამოუკიდებლობის კომიტეტი, აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელი არ აკეთებს ცნობილ დეკლარაციას, რომლის მიხანი—მასიური ხვრეტის შეწერება—მიხწეულ იქნა.

კიდევეკი რომ მომხდარიყო სასწაული და ბოლშევიკების გამანადგურებელ მუშაობას შედგადთ მოკყოლოდა სოციალიზმის დამყარება და არა პოლიტიკური და ეკონომიური რეკაქცია, სოციალიზმის ისტორია ვერ პატიკვებდა მათ აგვისტოში ჩადენილ სამინელებებს, ვერ განბანდა მათ სისხლიან ხელებს... განა შესაძლოა, რომ მათ ეპატიოს ამიერკავკასიის პროლეტარიატის პოლიტიკურათ შემაკავშირებლის და მისი ბრძოლის ცეცხლით აღმაზნებელის ნოეს დახვრეტა! განა შესაძლოა გამართლებელ იქმნას გურიის სახელოვან მოძრაობის სულისჩამდგმელთა და ბაირაქტარი, ბენიას სასიკვდილოთ განწირვა! განა შესაძლოა დავიწყებას მიეცეს სოციალისტურ და დემოკრატიულ საქართველოს დამოუკიდებლობის ფხიერ მუშაკის და შეუდარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელ მებრძოლის ვალიკოს წუთისოფლიდან გამოსალმება! ან უწყინარ გაბო ცაცანაშვილის, დათიკო ქარცივაძის (მეჩონგურე) ციხიდან სასაკლაოზე გაყვანა! ძველი კატორღელის, ყველას მიერ საყვარელი მუშის დათიკო დვალის დახვრეტა! ვასო ცაბაძის მოკვლა! იმ ცაბაძის, რომელიც ბოლშევიკების «რევმბრიანეს» მოწმობითაც კი თფილისის მუშთა კლასის რევოლიუციური ბრძოლებისთვის ერთ-ერთ პირველ შემკავშირებლად ითვლებოდა! სოფელად მცხოვრებ ავათმყოფ კატორღელის ილიკო კოპალეიშვილის ლოგინიდან განკაფილა და მისი ტყვიით განგმირვა! ქართველი ქალის, ალითი გორდელაძის მოკვლა. მხოლოდ იმისთვის, რომ მან სინდისსა და პატიოსნებას ვერ უღალატა და თავისი სიძე—მოსისხლეს მტერთაგან დევნილი იმავ აკვანტოს დღეებში დაბვრეტილი ძველი ს.-დ. მუშა ვიქტორ ცეხტერაძე—ჩეკას არ გადასცა!? ... და რამდენი უნდა ჩამოითვალოს? ოთხი, ხუთი ათასი ძვირფასი სახე!

გამარჯვებულმა და სისხლით დამთვრალმა ხელისუფლებამ მუსრი გაავლო ქართველ მოსახლეობას. ძოძუ მწოვარა ბავშვებითურთ ამოყლიტა რამდენიმე გვარეულობა—ფანიაშვილიები, კლიმიაშვილები და მამაკაშვილები სოფელ რუსსაში (ლორის მაზრა). ბავშვები ზოგი აკვანში ჩასრისეს, ზოგი სარებზე ჩამოაცვეს და ზოგსაც კი აივნიდან ძირს ისროდნენ. ქალები ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი ხანჯლებით დაკალეს...

1925—1926 წლები.

ისევ სისხლი... ისევ წამება. ხვრეტენ ხალხს და ამის შესახებ მხოლოდ ახლო ნათესავებს თუ შეუძლიან გაიგონ რამე. ათეულობით ასამრავნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ და ყველაფერი ეს გაუხმაურებლათ, მალულათ ხდება. სახოგადო მოვაზეებს წუთისოფელს ასალმენენ და ამის საჯაროო აღიარებას, პრესაში გამოქვეყნებას ვერ ბედავენ... ან როგორ უნდა გაბედონ: განა იმისთვის, რომ ადამიანი დაიხვრიტოს საპირო არ არის ბრალდების წაყენება და დამტკიცება! ასეთი ბრალდება კი არ არსებობს. ეს ბრალდება თვით ჩეკის მიერ მოწყობილ მატარებლებზე თავდასხმაში ვითომდა მოწაწილეობა და სხვა მსგავსი პროვოკაციაა. ასეთ პროვოკაციას ამსხვეპლეს ძველი სოც.-დემ. გერ. ღლონტი, ახალგაზდა მარქსისტი, შეუპოვარი ლადო გეორგობიანი და სხვები... ასევე გაუსწორდენ ჯიოპურის მაღარის მუშას გიორგი ჩანტლაძეს და კიდევ მრავალთ: კერძო ინტერესების ნიადაგზე მათ ბრალს სდებენ მატარებელზე თავდასხმის განხორციელში და ხვრეტენ. ჩეკა არავითარ სისაბაგლის წინაშე არ იხევს, რათა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ჯერ ჩირქი მოსცხოს, რომ მერე მათი სისხლი დაღვაროს. სამეფურნეო ორგანოებში მომუშავე ცნობილ მოღვაწეებს და პატიოსან მუაკეებს ფულის გაფლანგვის ფიქტიურ სამარცხვინო ბრალდებებს უყენებს და გაუსამართლებლათ ხვრეტს... ჩოლოყაშვილის რაზმთან რაიმე კავშირში შემჩნეულ მოწინააღმეგებს დახვრეტენ დუშეთის მაზრიდან და კახეთიდან უკანასკნელ დრომდე მასიური ხასიათი ქონდა.

აი ასეთი იყო მთავარ ხაზებში ამ საშინელ ორგანიზაციის მოღვაწეობა საქართველოში, ხოლო ამ გამანადგურებელი მუშაობის სწერილი ადგილი ქონდა ყოველად უმსგავსო, გულშემხარავ მალულ მოვლენებს. ჩვენ შეგვეძლო ჩეკის ჯურღმულებში წამებისა და ფიზიკურ-გონებრივ დასახჩირების მრავალ და მრავალ შემთხვევათა ჩამოთვლა, რომ არა ერთი გარემოება: ჩეკა წამება გადახდილ მოქალაქეს წერილობით პირობას ადებინებს მის წინააღმდეგ ჩადენილ საშინელებათა სასტიკათ დაფარვის შესახებ და ჯერ ხელთ მყოფ ფაქტებსა გამომქვეყნება გამოიწვევდა სასტიკ შურისძიებას უკვე ნაწამებთა წინააღმდეგ. ამიტომ აქ მხოლოდ საქვეყნოთ ცნობილ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავთ:

1924 წლის მაისში ზაკჩეკაში აწამეს არსენალის მუშა გიორგი კასრაძე. კასრაძე ეკუთვნე ეროვნულ. 22-23 წლებში ჩეკაში წამების დროს ეკუთვნე ეროვნულ სტუდენტები კირილე ფილოსანი და მიხა ტუღლუში. მუშა გიორგი მუჯირიშვილი, რომლის ბინაზე აღმოჩენილ იქმნა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი სტამბა, გვეყოდები ჩაზმეტერიეს და შემდეგ დასაშინებლათ ავტომობილით დასახვრეკეთ საბურთალოზე წაიყვანეს. არ აკმაოებს ეს წამებაც. განთავისუფლების შემდეგ ხელმეორეთ დააპატიმრეს და, მეორეთ წამებისას ეკუთვნე ეროვნულ. 1923 წელს მარტში დაუპატიმრეს ძველი კატორღელის ნიკოლოზ ვიბორგინის შვილი ახალგაზდა მარქსისტკა-ანეტა. ჩაგდეს საყინულე სარდაფში, აწამეს და სიცოცხლეს გამოსალმეს. 1923 წლის ივლისში ოზურგეთის ჩეკის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თავმჯდომარე მკურნალმა აწამა ძველი ს.-დემ. შიო ქურიძე. გაიყვანა დასახვრეტათ. გააშიშვლა და თოფიც ესროლა. (ქურიძე ფიცს ბაზდარგარეთაა).

აჯანყების დღეებში ჩეკის სადისტების თავაშეგებულნას ხომ საზღვარი არ ქონდა ახალგაზდა მარქსისტი პ. ხვანძე დახვრეტის წინ დასაკითხავათ გაიყვანეს. მას ჯალათ-გამომძიებლებმა ხელფეხი დაამტვრიეს და ამ რიგათ, განწირულ ადამიანს ხადისტებმა უკანასკნელი საათები საშინელ ფიზიკურ ტანჯვაში გაატარებინეს...

1925 წლის თებერვალ'ში აპატიმრებენ ახალგაზდა მუშა დავითაშვილს. თფილისის ჩეკაში მას გადაჯარბებული ცემით თავს უტეხენ, ყურის აკმა უგლეჯენ და ნახეკინთ გონება დაკარგულს, ნაცემ ნაწამებს აგზავნიან «სოლოვკებში». იქვე იგზავნება ქუთაისის ჩეკაში ნაწამები თავგანტეხილი და გვერდეჩამტვრეული ახ. მარქსისტი ჯორბენაძე. «სოლოვკეკებში» გზავნიან ქართველ პოლიტიკურ პატიმართა მთელ ჯგუფებს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს და იქ მათ იძულებითი სამუშაოს ასრულებინებენ...

ხუთნახევარი წლის განმავლობაში გარყვნილი ორგანიზაციის გარყვნილებისა და სიმყრალის სუნი შამავს საქართველოს ატმასფერას. ბინძური ორგანოს ბინძური ხელები იჭრება ქართველი ერის ცხოვრების ყოველ კუნჭულში; ყოველგვარ კულტურულ-ეკონომიურ კავშირებსა და წამოწყებებში, კოოპერაციაში, სკოლაში, თეატრში ეკლესიაში, ღვთის მორწმუნეთა მიმართ, ვით პირველყოფილ ქრისტიანთა წარაღმფიგ იწყებენ ბარბაროსულ ბრძოლას.

რამდენი უდანაშაულო იმსხვერპლა ჩეკამ განსაკუთრებით ეს გამოიშკარავდა აგვისტოს დღეებში. თვითეულ ნაძირალას სრული უფლება და საშუალება ქონდა დაეხვრიტა, ვისაც კი მოისურვებდა. იხვრიტებოდენ მოქალაქენი ისე, რომ მათზე არავითარი ცნობები არ რჩებოდა. ამიტომაც ჯალათებმა დღემდე ვერ გამოარკვიეს ვინ და რამდენია დახვრეტილი. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სისხლმყორეტებულ ჩეკის მიერ მეტეხიდან ტუსაღთა გასანთავისუფლებლათ წარდგენილ სიებში მრავალი დახვრეტილი აღმოჩნდა. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია. უკვე დახვრეტილი ხალხი 10 დღის შემდეგ ჩეკამაც უდანაშაულოთ იცნო და მისთვის განსათავისუფლებელი ორდერი დაამზადა...

ყოველათ შეუძლებელია თუნდაც დაახლოვებით აღწერა მუშაობის იმ ჯაშუშურ და პროვოკატორული სისტემისა, რომელიც ქონდა საგანგებო კომისიას. ზნედაცემულთა ტახტის გამმაგრებელი ორგანო, ზნე-დაცემულობისა და გარყვნილების ბუდე ჩეკა, ცოლს ქმრის გაცემას ავალებდა, ძმას ძმის მოკვლას აკისრებდა, შვილს მამის ღალატის წინადადებას აძლევდა... თვითონ მკვლელობისა და თავდასმის აქტებს ახდენდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ თავს აჩვენდა. ჩეკა თავის კაცის ლაბაძის ხელით კლავს ჯემალფაშას და ამ აქტის დასაფარავათ ხერეტს ლაბაძეს. ხოლო მკვლელობას დაშინაკაკანებს აბრალებს და რამდენიმე პოლიტ. პატიმრს წუთისოფელს ასალმებს.

ეხლა დამპყრობელებმა საჭიროთ მიიჩნიეს მოეხსნათ «ჩეკის» სახელწოდება, მაგრამ ქართველი ხალხი არც ისე გულუბრყვილოა, რომ ჩეკის პოლიტ-სამართველოთო გარდაქმნაში რაიმე არსებითი ცვლილება დაინახოს.

ჩვენც კარგათ ვიცით სისხლის მოყვარულ ტირანებს უსისხლოთ არსებობა არ შეუძლია; სადისტებისა და ჯალათების ხროვა სასიკვდილოთ განწირულ ადამიანის წამებისა და გმინვის გარეშე ვერ იარსებებს. ჩეკის სიმახინჯისა და ველურობის შედეგი იყო. პოლიტიკური სამართველოც ამაევ რეკიმის ნაყოფია და მას თან დაყვება ჩეკის ყველა სპეციფიური თვისებები... ტანჯვა, წამება, სისხლის ღვრა გაგრძელდება. ჩეკას სახელწოდება ეცვლება, მაგრამ რჩება იგივე საწამებელი ადგილები, რჩებიან იგივე ჯალათები...

ჩეკა არ მომკვდარა: მოიხსნა მისი სახელწოდება, მისი შავბნელი საქმე კი მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება, როცა მის მემკვიდრეს-ტირანთა ბატონობის განმამტკიცებელ პოლიტიკურ სამართველოს იმსხვერპლებს ქართველი ხალხის სმრთლიანი რისხვა.

დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაქტიკაზე.

ეს ერთი ხანია ირ. წერეთელი გვედავება ტაქტიკაზე. ახლა მან ამ დავას უძღვნა ბრძოლითა ამ სათაურით: «ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი», სადაც მან თავიანი შეხედულებანი ჩამოაყალიბა. რა არის საერთო ჩვენს შორის და რაშია განსხვავება?

საერთოა მიზნის დასახვაში—საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში. ამით ავტორი მკაცრად ემიჯნება ბოლშევიკებს და მათ ამყოლ-დამყოლთ. მარა როგორც კი გადადის ამ მიზნის მისაღწევ საშუალებებზე, ის ცდილობს გაგვიმიჯნოს ჩვენც. უარყოს პარტიის მიერ აღებული ტაქტიკური ხაზი და მის ალაგას წამოაყენოს მეორე. რა ხაზია წამოყენებული პარტიის მიერ და რას უპირდაპირებს მას წერეთელი?

პარტია თავის რეზოლიუციაში აყენებს ასეთ დებულებას: საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია როგორც შედეგი საბჭოთა რუსეთის შინაგანი და საგარეო კონფლიქტებისა (ბესამე ყრილობის რეზოლიუციები). ე. ი. ის მიზანს უკავშირებს მიმდინარე მომენტს, საბჭოთა არსებულო მდგომარეობას, რომლის ანალიზისაგან გამოყავს საქართველოს განთავისუფლების შესაძლებლობა. როგორც კი მოშორდებით ამ მომენტს, არსებულ ურთიერთობას და მასან დაუკავშირებლათ წამოაყენებენ ერის დამოუკიდებლობას, ამით გამოდიხართ ტაქტიკის სფეროდან და შედიხართ პროგრამაში. მიზანი რჩება მხოლოდ პროგრამის მუხლათ, ოდესმე განსახორციელებლათ და არ ედება საფუძვლათ დღევანდელ მოქმედებას. და ეი სწორეთ აქ არის ძირითადი განსხვავება ჩვენს და წერეთლის პოზიციას შორის. ის აყენებს რა ჩვენთან ერთათ საერთო მიზანს, სრულიად არ აკავშირებს მის განხორციელებას მიმდინარე მომენტთან, არ ეძებს საბჭოთა სინამდვილეში ამ განხორციელების შესაძლებლობას, არ აკეთებს მის ანალიზს და არ გვითითებს აქედან გამომდინარე საშუალებებზე. პირიქით, ავტორი გადაჭრით გვირჩევს ომის და რევოლიუციის წინ აღებულ ტაქტიკას, ე. ი. ტაქტიკა გამოყავს არა დღევანდელი, არამედ წარსული სინამდვილისაგან, როცა არც ომი იყო, არც რევოლიუცია, არც დამოუკიდებელი საქართველო. არც საბჭოთა წყობილება, არც ერთი დღეს არსებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ვ. ლიბკნეხტი ამბობდა ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს ოცდაოთხ საათშიო, წერეთელი კი ვგეუბნება—ტაქტიკა ურყვნია, ეროსელ და სამშდამოთ ბოძებულიაო.

რა სახისაა ეს სამიდღემრიო ტაქტიკა? ეს ყოფილა უარისყოფა ომის და მიღება ზავის: აქედან იბადება ორი მოპირდაპირე მეთოდი ნაციონალური ბრძოლისა: ნაციონალისტური და დემოკრატიული (გვ. 6). ეს მართლაც მეტათ ძირითადი მუხლია, ისე როგორც ორი და ორი ძირითადი სფუძველია მატემატიკის. ასეთი დებულების წამოაყენება შეიძლება ყველა გარემოებაში, ყველა ხანაში და საუკუნეში. მარა ეს ხომ ტაქტიკა არ არის. ეს არის პოლიტიკური მიმართულება, მსოფლმხედველობა, რომლის ფარგალში შეიძლება მოთავსდეს სხვადასხვანაირი ტაქტიკა. ომის მოწინააღმდეგენი ეკუთვნიან პარტიას, სხვადასხვა პროგრამით და ტაქტიკით აღუურვილს, ასევეა ომის მომხრენიც. თვით ამ მიმართულებათა ასე მკაცრათ დაყოფა არ შეეფერება სინამდვილეს. დიდი დემოკრატები, როგორც მაგ. მაძინი, კოშუტი და გარიბალდი, იმავე დროს იყვენ ნაციონალისტები და აწარმოებდენ განმათავისუფლებელ ომს. ხოლო ხშირათ უკიდურესი ნაციონალისტები, როგორც მაგ. კოშუტის მოპირდაპირე ფეკი, უარსყოფდა ომს და მოლაპარაკეებს არჩევდა. ომი ომვიათია, ხოლო ნაციონალური ბრძო�sა მუდმივია. ცხადია, ამ ბრძოლას აქვს თავისი წესები, თავისი საკუთარი ტაქტიკა, რაიც სავსებით განსხვავდება ომის ტაქტიკიდან. ყველა პარტია, განურჩევლათ მიმართულებისა, ამ ბრძოლას აწარმოებს შინაგანი საშუალებებით, კონკრეტული პირობების მიხედვით წამოყენებულ ნაციონალური მოთხოვნილებებით. ავსტრო-უნგრეთის პარტიათა ნაციონალური მოძრაობა არასოდეს ომის ტაქტიკაზე არ ყოფილა აგებული, თუმცა ბოლოსდაბოლოს საკითხი ომმა გადაწყვეტა. ასე რომ დემოკრატიული და ნაციონალისტური მეთოდი სრულიად არ მდგომარეობს ომაში. ვიითომ ერთი უეჭველათ ომს ეტრფოდეს, ხოლო მეორე ზავს. დემოკრატიულ მეთოდს მიმართავენ ნაციონალისტებიც, თუ ისინი დემოკრატიულ მსოფლმხედველობას იზიარებენ, ხოლო დემოკრატები მიმართავენ ომსაც, თუ ამას გარემოება მოიტანს და მათ თავზე მოახვევს. საქართველოს დემოკრატიას მოუნდა ომის წარმოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ხედავთ, ირ. წერეთელის ეს ძირითადი კლასიფიკაცია სრულიად სწორია. შეესაბამება სინამდვილეს და ეს იმიტომ რომ ის მეტად ძირითადია, მეტად მარტივია. განყენებულია და ამიტომ ჭეშმარიტებას დაშორებულია. ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. აქ მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალიზმისათვის დაპირდაპირებულია დემოკრატიზმი. მაშინ როდესაც ესენი ერთი მეორეს არ უარყოფენ. ნაციონალიზმს ეპირდაპირება სოციალიზმი. მხოლოდ მათ შორის არის პრინციპიალური განსხვავება მიზანში და მეთოდებში. ნაციონალურ დავას ისინი შეიძლება მიუდგენ სხვადასხვანაირათ. ერთი რევოლიუციურთან, მეორე სამხედროთი, ე. ი. თავისი ტაქტიკა ერთმა ააგოს რევოლიუციაზე, მეორემ კი ომზე. ეს შეიძლება და არა აუცილებლათ, ვინაიდან მრავალი სოციალისტები სრულიად არ აწარმოებენ ნაციონალურ ბრძოლას და მრავალი ნაციონალისტები პაციფიზმს მისდევენ. და თუ ირ. წერეთელი საქართველოს სოციალდემოკრატიას აბრალებს რევოლიუციური მეთოდის უკუგდებას და სამხედროს მიღებას. მაშინ ეს მას უნდა დაემტკიცებია პარტიული საბუთებით და დოკუმენტებით. პარტიის მესამე ყრილობამ თავისი ტაქტიკა ჩამოაყალიბა რეზოლიუციებში, დაიბეჭდა ამათი პარტიული ახსნა-განმარტება «ბრძოლაში» (ჩვენი ტაქტიკა), ომზე და ზავზე ხშირათ იბეჭდება ამავე ორგანოში და ყოველგან დაგმობილია ომი და ჭეშმაყენებული ზავის პოლიტიკა. წერეთელი არსად არავითარ ამის საწინააღმდეგო საბუთს არ იძლევა, ხოლო საკითხი კი ისე აქვს დასმული ვითომ ჩვენ სამხედრო კომბინაციებზე ვეყრდნობოდეთ. ხოლო ის კი დემოკრატიულზე. ასეთ იოლ მოწინააღმდეგეს ებრძვის მთელი ბრიშიერა და ამტაიცებს—ომი ცუდია, მშვიდობიანობა კარგიაო... მე მგონია აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა. ალბათ ავტორი ომის პოლიტიკას უწოდებს იმას, რასაც ჩვეულებრივ ენაზე ეწოდება ზორს გავეროვანა, სხვადასხვა მდგომარეობის წარმოდგენა და თვითეული შემთხვევისათვის ტაქტიკის გათვალისწინება. რაკი პარტიას თავის ინალიზში შეაქვს საგარეო მომენტიც და რაკი ის სხვა პერსპექტივებს ზორის ამასაც უჩვენებს როგორც მოსალოდნელ საშუალებას ბოლშევიკური რეკიმის დასანგრევათ. წერეთელს ეს ალბათ მიიჩნია ომის პოლიტიკათ, მილიტარისტულ სულისკვეთებათ. და თუ ეს მილიტარისტობაა, ცხადია ყველა სოციალისტური პარტია მილიტარისტული ყოფილა, ვინაიდან ყველა ფიქრობს იმაზე თუ ომის დროს რა პოზიცია დაიკავეს. საფრანგეთის პარტიამ მთელი სამხედრო კანონ-პროექტი წარადგინა პალატაში ქვეყნის დაცვის მოსაწყობათ ომიანობის დროს. მართალია აქ იყვენ მოწინააღმდეგენიც. ჩვენი საქმე არ არის სამშიდლოს დაცვაო, მარა სამხედრო ორიენტაცია პროექტის მომხრეთათვის არ დაუბრალებიათ. ხოლო თუ ჩვენი პარტიის დებულება ყალბია, მაშინ ავტორს უნდა დაემტკიცებია ეს, უნდა ეჩვენებია, რომ ომის გამო არსათ რეკიმი არ დანგრეულა, ერი არ განთავისუფლებულა ფა სხ.

ამნაირათ, ომის უარისყოფა, ზავისთვის ბრძოლა სრულიად არ ნიშნავს ომისათვის თაცკარიელათ და ხელცარიელათ დახვედრას. თუ ის ატყდა. ამეკამათ ომი არავის არ სურს, გარდა ბოლშევიკებისა, მარა ყველა ეშხადება მოსალოდნელი შემთხვევისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ რუსეთი ომში ჩაება, ამით ვისარგებლოთ და ომი გადავაქციოთ რევოლიუციათ საბჭოთა ხელისუფლების დასანგრევათ და დემოკრატიის და ნაციის აღსადგენათ. ასე ფიქრობს მაგ. კაუცკიც. ამის წინააღმდეგია მაგ. დანი. (იხ. მათი პოლემიკა «Kampf», აგვისტო, 1925). რატომ არის ასეთი განსხვავება? იმიტომ რომ დანისათვის ბოლშევიკური ხელისუფლება რევოლიუციურია და ამიტომ მის წინააღმდეგ რევოლიუცია დაუშვებელია, კაუცკისათვის კი ის რეაქციონერია და მასასადამე რევოლიუცია საკადებელია. და თუ ირ. წერეთელი უარს ყოფს ომის რევოლიუციათ გადაქცევას, ცხადია ის დანის შეხედულებაზე დამდგარა. ვინც საბჭოთა წყობილების დანგრევას ცდილობს, ის ვალდებულია ამ მიზნით ისარგებლოს ყოველნაირი საშუალებით, რომელიც კი მიზანს მიიყენებს. «ჩვენ გაშლილი უნდა გვქონდეს ყველა გზები. რომლებიც კი ჩვენს პრინციპებს და მიზნებს შეესაბამება», ამბობს კაუცკი («ბრძოლაა» № 25), ხოლო წერეთელი კი გვეუბნება—არის ერთადაერთი გზა—«წმინდა დემოკრატიული მეთოდებით ბრძოლა». რას ნიშნავს ეს? რანაირათ შეიძლება დასტოტიაში დემოკრატიული მეთოდთ იბრძოლო? უნდა იყოს არა დემოკრატიული, არამედ რევოლიუციური მეთოდი, ვინაიდან ბრძოლის სხვა ფორმა ჩვენსში არ არსებობს. თუ ასეთ განმარტებას მივიღებთ, მაშინ გამოვა რომ ეს მეთოდი პრინციპიალურათ არ უარსყოფს არც იარაღს, არც აჯანყებას, არც სამხედრო ორგანიზაციას, არც მბრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოლთა ალრიცხვას, ერთი სიტყვით გულისხმობს ყველა იმ ფორმას, რასაც ᲪᲔᲚᲘᲛᲘᲗ ᲠᲔᲥᲘᲛᲘᲗ რევოლიუციური სოციალდემოკრატია ახორციელებდა. თვით წერეთელი სწორედ სამხედრო ორგანიზაციასთ კავშირისთვის გასამართლეს. დემოკრატიული მეთოდი ყველა ამას უარს ყოფს და კმაყოფილდება პროპაგანდა-აგიტაციით და საარჩევნო ბიულეტენებით. ეს ფორმა დემოკრატიულ ქვეყნებშიაც სადაოთაა გამხდარი, რევოლიუციური მეთოდი აქაც საეროოთ მიიჩნიეთ ზოგიერთ მოძღვრებში.

ამნაირათ, «წმინდა დემოკრატიული მეთოდი» საბუთოა სინამდვილეში ნიშნავს გულზე ხელის დაკრეფას და ბრძოლიდან გადადგომას. პარტია კი დგას რევოლიუციური ბრძოლის საფუძველზე და ხელმძღვანელობს მიზანშწონილობით. შეიძლება მას არ დასჭირდეს არც იარაღი, არც აჯანყება, მარა თუ დასჭირდა უკან არ დაიხეს «დემოკრატიული» მოსასრბებით; ძალას ძალა დაანგრევს. და სწორეთ ᲪᲐᲥᲘᲡᲘᲡ საგანია გაითვალისწინოს როდის რა საშუალება საჭირო მიზნის მისაღწევათ. ცხადია, ჩვენს და წერეთელს შორის განსხვავება არა იმ უფდო დებულებაში რომ ომს ზავი სჯობია, სამხედრო კომბინაციები პარტიის საქმე არ არის და სხვა ასეთი «ძირითადი» დებულებები, არამედ ბრძოლის წარმოების მეთოდში, მიმდინარე ᲪᲐᲥᲘᲡᲘᲡ მომენტებში. ის აყენებს დემოკრატიულ მეთოდს, ჩვენ კი რევოლიუციურს. ის ემხრობა ამ სფეროში აბრამფილის ᲗᲐ).

მეთოდის ასეთი განსხვავება ქმნის განსხვავებას თვით მიზანში; ჩვენ მიგვაჩნია შესაძლებლათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მიმდინარე ხანაში, ე. ი. საბჭოთა წყობილების დღევანდელ ურთიერთობაში. მის აუცილებელი გადატეხის და დანგრევის პერიოდში. ირ. წერეთელი კი ამ მიზნის განხორციელებას მოელის ევროპაში და რუსეთში «დემოკრატიის გაძლიერების და გამარჯვებისაგან». აქაც ტერმინების გაუგებრობაა. რომელ დემოკრატიაზეა აქ ლაპარაკი? თუ ბურჟუაზიულზე, ის უკვე გამარჯვებულია დასავლეთში, ოდესმე გიმიარჯვებს რუსეთშიაც მარა ამ დემოკრატიისაგან არა მგონია წერეთელი განთავისუფლების გამოელოდეს. მას ალბათ სასენი ყავს სოციალისტური დემოკრატია; ამ შემთხვევაში მისი დებულება მიიღებს ასეთ სახეს: საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვებით. დებულება უდაოა, მარა რა შუაშია აქ საქართველო. საბჭოთა ტირანია, მიმდინარე ᲪᲐᲥᲘᲡᲘᲡ და ბრძოლა. სოციალიზმი თავისუფლებას მიანიჭებს ყველა ერთ. შორეულ აფრიკაშიაც კი. ეს ძველი პროგრამაფული დებულებაა, პროპაგანდისტული საშუალებაა სოციალისტური იდეების გასავრცელებლათ. ამით საქართველოს საკითხი იხსნება დღის წესრიგიდან, ᲪᲐᲥᲘᲡᲘᲡ სფეროდან და რჩება პროგრამის ერთ-ერთ მუხლათ, როგორც მრავალი სხვა. რომელიც სოციალიზმმა უნდა განახორციელოს. აი აქ არის მეორე დიდი უთანხმობება ჩვენს შორის.

სად არის სათავე ამ უთანხმოების? სათავეა ერთათ-ერთი—ირ. წერეთელი არ არის სავსებით დარწმუნებული ერთა განთავისუფლების აუცილებლობაში სოციალიზმამდე. ჩემი დებულება «ოუსეთის ველიკოროსიათ გადაქცევა» მას არ მიანნია დემოკრატიულათ, ხოლო ერთი ერი—ერთი სახელმწიფო აღიარებულია უტოპიათ. ორივე შემთხვევაში სინამდვილე ავტორის წინააღმდეგ ღადაგებს. საბჭოთა რესპუბლიკათა კავშირში რუსეთი მხოლოდ ერთი წევრია, ხოლო მისი საზღვრები იფარგლება ველიკოროსიითან. ე. ი. რუსეთი ნაციონალურად და კულტურულათ უკვე გადაქცეულია ველიკოროსიათ. რაიცა უნდა დაგვიგვანდეს პოლიტიკურათაც. ნაციონალური და კულტურული ერთობა სახელმწიფოს საფუძველია. რაც შეეხება მეორე დებულებას, ის ხომ განხორციელებულია მთელ დასავლეთში. აქ არ არის ერი რომელსაც არ ქონდეს საკუთარი სახელმწიფო. ეს ევროპის გზა სავალდებულოა საბჭოთა ტერიტორიისათვისაც იმდენათ, რამდენათ მისთვის სავალდებულოა გაეგოთ პიელვა, დემოკრატიის და ნაციის გამარჯვება. უტოპიურია მხოლოდ ერთი—ერის ყველა ნაწილების ერთ სახელმწიფოში თავის მოყრა. გაანნეული უმცირესობანი მუდამ იქნებიან და მათი უფლების დასაცავათ წამოყენებული სხვადასხვა ზომები.

რაკი მთავარ პრინციპებში წერეთელი დაეჭვებულია, ნაციათა თვითგამორკვევის პრაქტიკულათ გატარება რუსეთისათვის სავალდებულოთ არ მიიჩნია, რასაკვირ-

---

*) «სოც.-ვესტნიკის» ავვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი და მისი აბრამოვიჩის პასუხი. ეს პასუხი წმინდა განმეორებაა ირ. წერეთლის დებულებების. შემდეგ ნომერში ამ წერილს გავაცნობთ «ბრძოლის» მკითხველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია, ნაციონალური ბრძოლის საშუალებებშიაც დაეკვებული ია და საერთო დემოკ-რატიულ დებულებით და შორეული პერსპექტივებით კმაყოფილდება.

ამით აიხსნება ისიც რომ საქართველოს შედარება ბელგიასან მას არ აკმაყოფილებს და გადაჰრთან ამტკიცებს, ჩვენი ქვეყანა გარედან დახმარებას ვერ მოიპოვებსო. ბელგიის დამოუკიდებლობის არა თუ დაცვა, არამედ თვით წარმოშობაც (1830 წელში) მოსახზღვრე სახელმწიფოების საქმე იყო (საფრანგეთის და ინგლისის). ეს სახლგადათ, პატარა ერს არასოდეს არ მოუპოვებია თავისუფლება გარედან დაუხმარებლათ. და თუ საქართველო ასეთ დახმარებას ვერ მიიღებს, ის მართლა ვერ განთავისუფლდება სოციალიზმამდე. მარა საჭიროა ამის დამტკიცება რუსეთის და ევროპის არსებულ მდგომარეობიდან, დანახვება იმის, რომ დღეს ევროპა და პირველყოვლისა რუსეთის მოსახზღვრე სახელმწიფონი დაინტერესებული არიან დიდი ისტორიული რუსეთის შერჩენაში. ჩვენ კი გვგონია, პირიქით, დიდი რუსეთი სასიკეთილო ლახვარია დიდი და პატარა ლიმიტროფებისათვის. დარღვევაა ევროპის არსებული საერთაშორისო წონასწორობის, ცეცხლის კოცონია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადამსოლოელი. ამიტომ არის რომ დღეს დიდი რუსეთი აღარავის არ აინტერესებს. გარდა რასაკვირველია თვით რუსებისა და გერმანიის მონარქისტებისა. რუსეთი ან ბოლშევიკური, ე. ი. უძლური და დაგლახებული, ან პატარა და დემოკრატიული—ან რა საჭიროროტო საკითხი დგას დღეს გადასაწყვეთან. საქართველოს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ერთა მომავალი, აი ამ მიმდინარეობის ფარგალშია მოქცეული.

ირ. წერეთელი კი აქ კარებს გვიხშობს და სოციალიზმისაკენ გვითითებს. აი იქ იპოვით რასაც დღეს ეძებთო.

ამნაირათ, ჩვენ ვღებულობთ ორ განსხვავებულ ტაქტიკურ ხაზს. ჩვენია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა მიმდინარე ხანაში; ამ მიზნის მიღწევა დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების საშინაო და საგარეო მდგომარეობასან. მის აუცილებელ დარღვევასან; ამ დარღვევისათვის ჩვენ ვიბრძვით რევოლიუციური სოციალდემოკრატიის მეთოდით.

ირ. წერეთლის პოზიცია: საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის აღდგენა. ეს აღდგენა შეიძლება მაშინ, როცა ევროპაში და რუსეთში გაიმარჯვებს სოციალისტური დემოკრატია. ამ დროსათვის უნდა მოვამზადოთ ხალხი დემოკრატიული მეთოდით.

როგორც ხედავთ, ძირითადი განსხვავება აქ არის. ყველა დანარჩენი ნაწილი ერთ-ია ან წვრილმანია. უდაოა ის, რომ ჩვენ კავშირი უნდა გვქონდეს რუსეთის მოწინავე დემოკრატიასან, რაც არა ერთხელ დაგვიწერია (იხ. «ჩვენი ტაქტიკა»), უდაოა ევროპის დემოკრატიასან კავშირი. უდაოა პარტიული, სოციალდემკრატიული ყოველდღიური მუშაობა, რასაც ვრცალთ შევეხეთ არა ერთხელ (იხ. იქვე). უდაო არის ის, რომ სოც. ინტერნაციონალი გვეხმარება, მხოლოდ ავტორსავით გადაჰარებული წარმოდგენა ამ დახმარებაზე არ გვაქვს. ყველამ იცის ზოგ სოციალისტურ მთავრობათა ჩვენდამი დამოკიდებულება; უდაო არის პარტიისათვის სამხედრო მეთოდის უვარგისობა და სხვ. და სხვ. წვრილმანია ივ. ჭავჭავაძის შეხედულებებთან ბრძოლა, თუმცა თვით ჭავჭანიძე ემყარება რუსებს, რომელნიც რუსეთის მოსალოდნელ დაყოფაზე თვით ლაპარაკობენ. წვრილმანია ჩემი და რამაშვილის ცნობილ წერილებში აჯანყების და იმპერიალისტური კონფლიკტების სურვილების დანახვა, რაც ბოლოს და ბოლოს თვით ბოლშევიკებმაც კი ვერ დანახეს. წვრილმანია ჩვენი პარტიის ტაქტიკის გერმანიის პარტიის ტაქტიკასან შედარება, იმ გერმანიის, რომელიც დაპყრობილი არ არის, დამოუკიდებლობა აღსდგენი არ აქვს და მხოლოდ ვერსალის სახვაო პირობების ზოგ მეხლებზე დაობენ. ყველა ეს და მრავალი სხვა წვრილმანი, რომლითაც ბრიშიუია სავსეა, უბრალო სიტყვის მასალაა, არსებულ ძირითად უთანხმოებას არ შეეხება და ახდენს შთაბეჭდილებას, როგოც რუსები იტყვიან, თმით მთთრეული არგუმენტებისას. ჩვენი საერთო ინტერესია ამ წვრილმანთან არ დაიფაროს ნაამდვილი უთანხმოება, რომ პარტიას საქართველოში მიეცეს საშუალება მისი დაფასების და არჩევის. პარტია დღევანდღამდე დგას მებრძოლი მენშევიზმის საფუძველზე; ეხლა ორ. წერეთელი გვარჩევს ამ საფუძველის ლიკვიდაციას და მშვიდობიან ხახზე გაჩერებას. აი აქ არის ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი.

ნ. ჟ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«ᲙᲠᲘᲢᲘᲜᲘ» ᲡᲢᲧᲝᲜ.

(წერილი საქართველოდან)

მე-15 პარტკონფერენციაზე ფილიპე მახარაძემ, რომელსაც ამ ბოლო დროს მისივე ამხანაგები უფრო «კოტინის» სახელწოდებით ისხენებენ, თავის «შესანშნავ» სიტყვაში განაცხადა: «როცა ჩვენთან მოდიან რომელიმე უცხო დელეგაციები, ისინი უპირველეს ყოვლისა (აქაც სტყუის. ავტ.) მიეჩქარებიან მენშევიკებისაკენ (მეტეხში)... საერთოთ ისინი (მენშევიკები) დღემდე ლოიალურათ იქცეოდენ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში, ოპოზიციის გამხრწნელ მუშაობის შედეგათ, მათაც იცვალეს კილო და ძალიან თავგადადურთათაც.» მერე არ იკითხავთ რაში გამოიხატა ეს თავგადადობა? თურმე ნუ იტყვით, ანდრონიკაშვილს დელეგაციისათვის უთქვამს: «არც რუსეთში და არც აქ არ არსებობს დემოკრატია, პროლეტარიატის დიქტატურა, არის მხოლოდ კომპარტიის დიქტატურა». და მოწმეთ მოუყვანია ტროცკი. ზინოვიევი, რადეკი და სხვები. იმ ხანებში მე თვითონ ვიყავი მეტეხში და კარგად ვიცი, თუ როგორ ხედავდიან დელეგაციებს პოლიტ-პატიმრები. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია და ვალდებულათაც ვრაცხ ჩემ თავს სწორი ცნობები მივაწოდო საზოგადოებას და ამით დავარწმუნო ის, რომ ფილიპე მახარაძე ეხლაც ისე სტყუის, როგორც ყოველთვის.

1924 წ. აგანვეთის მეთაურთა ცნობილ პროცესის შემდეგ, რომელზედაც ხელის. უფლებამ საქეყნოთ შეირცხვინა თავი. მეტეხში პირველათ მოვიდა გერმანიის პირველი დელეგაცია და ინახულა ამ პროცესზე გასამართლებული პატიმრები. ანდრონიკაშვილმა და სხვებმა ამ დელეგაციას დაწვრილებით აუხსნეს და განუმარტეს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაპყრობილ იქნა ბოლშევიკურ რუსეთის მიერ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების უხეშმა პოლიტიკამ გამოიწვია საქართველოს მთელი მოსახლეობის აღშფოთება და 1924 წლის აგვისტოო სექტემბრის საყოველთაო სახალხო აჯანყება და სხვა. ერთი სიტყვით დაუფარავად უთხრეს ყველაფერი ის, რაც ილაპარაკეს პროცესზე. ამ საუბარს დაესწრო მთავრობის წარმომადგენელი ვ. სტურუა. გერმანიის დელეგაციამ უკან დაბრუნებისას ყველაფერი გადაამახინჯა და «სიმართლე» ამცნო ქვეყანას.

პოლიტ-პატიმრებმა ისედაც კარგად იცოდენ, რომ ამ დელეგაციებთან ლაპარაკს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და შეუძლია მხოლოდ გამოიწვიოს მდგომარეობის გაუარესება, როგორც ეს მოხდა უკვე გერმანიის დელეგაციასთან საუბარის შემდეგ. ცხადია, გერმანიის დელეგაციის უმრთებულო საქციელის შემდეგ უნდა დასმულიყო კითხვა, თუ როგორ შეხვედრდენ დელეგაციებს მომავალში.

პოლიტ-პატიმრებმა გადაასწყვიტეს არ ესაუბრათ მათთან. რამოდენიმე კვირაში კვლავ მოდის ჩვენსლოვაკელთა დელეგაცია. რომელსაც ხვდებიან კატეგორიული უარით. დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ, როცა დელეგაციამ პატიოსანი სიტყვა მისცა პატიმრებს—სისწორით გამოვაქვეყნებთ თქვენს ნათქვამსო, უკანასკნელნი იძულებული გახდენ დათანხმებულიყვნენ საუბარზე. რვა საათს გაგრძელდა ეს საუბარი. ყველფერს იწერდენ დელეგატები, არ დარჩენილა არც ერთი კითხვა, რომელიც არ გაეშუქებინოს ანდრონიკაშვილს, ჯინორიას, ჯაველიშვილს და სხვებს. მერე როგორ მოიქცა ეს დელეგაცია? შეასრულა მიცემული პატიოსანი სიტყვა? სრულიადაც არა, მოიქცა ისე, როგორც უბრძანა მისმა დამქირავებელმა მოსკოვმა.

კიდევ უფრო აშკარა შეიქნა, რომ ამ მოსაყიდულ ხალხთან ლაპარაკი ნიშნავდა პოლიტ-პატიმრის ღირსების დამცირებას. ამიტომ ყველა შემდეგ დელეგაციებს გადაჭრილი უარით ხვდებოდენ. მაგრამ დახე მათ უბრდღვინობას! სწორეთ ამ უარის მიღებაზე ჩამოსხდებოდენ ტუსაღების ლოგინებზე და თავს აბეზრებედენ შეკითხვებით. საჭირო იყო მთისებრ უბრდღვინობის გამოჩენა, რომ არ მიეცათ პასუხი ზოგიერთი შეკითხვებზე მაინც. ამიტომ იმართებოდა კერძო ხასიათის საუბარი, რომელიც გრძელდებოდა 2-3 საათი. თუმცა ეს საუბრები კერძო ხასიათის იყო. მაგრამ ცნობებს იმის შესახებ, რომ საქართველო ოკუპაციის ქვეშ იმყოფება. რომ ჩვენში არ არსებობს დემოკრატია და სხვა, პატიმრები საკმაოთ აძლევდენ დელეგაციებს, ხოლო ყველა ეს დელეგაციები თავის მოვალეობათ სთვლიდენ საოკრად გადაამახინჯებინათ ნამბობი და ყალბი ცნობები მიეწოდებიათ ევროპის ქვეყნებისათვის.

ყველაზე უფრო უსინდისოთ მოიქცა გერმანიის მეორე დელეგაციის თავმჯდომარე კერბერი, რომელმაც ევროპაში განაცხადა, რომ პოლიტ-პატიმრები ისე კარ-

30669

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გად ცხოვრობენ, თომ ატამიე კი მოგვაწოდეს პირის გასასველებლათო და თვეში 50-ჯერ ნახვა აქვთო, მაშინ როდესაც მის პირიქით უთხრეს—არც ერთი ნახვა არა გვაქვსო.

რა უნდა ექნათ პოლიტ-პატიმრებს! მათ მონახეს შემდეგი გამოსავალი: რათა რამოდენიმეთ მაინც მოესპოთ დელეგაციებისათვის საუბრის დამახინჯების საშველება, გადასწყვიტეს ეწერამოებიათ მათთან წერილობითი საუბარი—ეს იმ შემთხვევაში, თუ დასაბეთებული უარი არ გასწიროდა და მათ თავიდან ვერ მოიშორებდენ. ასე მოქცეს პირველათ საფრანგეთის ტრანსპორტელების დელეგაციას, ხოლო შემდეგ ვერმანიის თავისუფალ მოაზრეთ და ინგლისის ახალგაზდებს. ამათ წერილობით შეკითხვებზე, წერილობითივე გასცეს პასუხი და დელეგაციების თავმჯდომარეთა მიერ ხელმოწერილი ქაღალდები დაიტოვეს პატიმრებმა. ი ა სწორეთ ეს ვეღარ მოითმინეს ხელისუფლებამ და ამას მოყვა შედეგათ, რომ 20 ოქტომბერს სასაბრთლოს მიერ გასამართლებული პოლიტ-პატიმრები რიცხვით 18 კაცი ქურდულათ მოიტაცეს მეტეხიდან და გადაასახლეს რუსეთში, სუზდალის იზოლიატორში.

როგორც ხედავთ ამ ცხობებიდან ირკვევა შემდეგი:

1) ანდრონიკაშვილს და მის ამხანაგებს პირველთან არ უთქვამს დელეგაციებისათვის ის დღესაკით ნათელი ჭეშმარიტება, რომ არც რუსეთში და არც ჩვენში არ არსებობს დემოკრატია, არამედ არის კომპარტიის ადვირწახსნილი დიქტატურა და სხვა. ეს კარგად იცოდა ხელისუფლებამაც, რადგან თვითეულ დელეგაციას თან დასდევდა ჩეკისტთა ბრიგა.

2) საკითხი დელეგაციებთან წერილობითი საუბრის გამართვის შესახებ პატიმრებმა დასვეს და გადასწყვიტეს უფრო ადრე, ვიდრე მოახდებოდა ოპოზიციის გამოსვლები.

აქედან აშკარაა, რომ ამ საკითხს არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ოპოზიციასთან და ანდრონიკაშვილს და მის ამხანაგებს არავითარი კილოს შეცვლა არ დასტყობიათ. ასეთი სიბრძნე ნაყოფია ფ. მახარაძის ავათმყოფ ფანტაზიის, რომელსაც, როგორც იუდას, ფოთლის შრიალისაც კი ეშინია.

რასაკვირველია, ოპოზიციის გამოსვლები ყველას ახარებს იმდენათ, რამდენადაც ეს ბოსსწვეიას კომპარტიისმიერ დაბეჭავებულ და გონება დაჩლუნგულ პარტიულ მასის გამოფხიზლებას. მაგრამ საღი ჭკუის ადამიანს როგორ მოუვა ახრათ, რომ მენშევიკები, რომელთაც აქვთ თავიანი საკუთარი სწორი გზა და მსოფლმხედველობა, რაიმე პოლიტიკას ააშენებენ ამ გზაბანეულ ოპოზიციის ლაჩრულ გამოსვლებზე?

მაგრამ ფ. მახარაძისაგან ასეთი საქციელი არ არის გასაკვირი. მას ისტორიამ დააკისრა მუდამ უყეფოს მენშევიკებს, რათა ამით მოსკოვის ნდობა დაიმსახუროს. წინაადმდეგ შემთხვევაში მასაც ისე მიაგდებენ სადმე კუთხეში, როგორც ეს უქნეს ბევრ მის თანამოღვაწეს.

ყოფილი პატიმარი.

ᲝᲥᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ «ᲐᲮᲐᲚᲒᲖᲔᲚᲘ» ᲤᲘᲜᲘᲔᲑᲘᲡ.

(წერილი საქართველოდან).

«კომუნისტი»-ს მარანჩალა «ახალგზელში» № 24 მოთავსებულია მეთაური, რომელშიაც ავტორი ერთხელ კიდევ ღეჭავს ათასჯერ გადაღეჭილ «სიბრძნეს» ძველი ხაზის გადაფასების და ახალ გზაზე დადგომის შესახებ. ასეთი «საქმიანობა» სწორეთ ამ წერილ-ფეხა რენეგატების ხელობაა და ამაში მათ არც არავინ შეეცილება. მაგრამ მათი თავხვეობა იქამდე მიდის, რომ ისინი აშკარათ აქეთ გვედავებიან: «ჩვენ ვეკამათებით ჩვენს მოწინააღმდეგებს; ჩვენ სხვადასხვა დებულებებს ვაყენებთ, ვარკვევთ, ჩვენ პრინციპიალურ კითხვებს უყენებთ მათ», მაგრამ «არც ერთ ჩვენ მიერ წაყენებულ დებულებას ისინი არ ამბათილებენ, არც ერთ კითხვაზე არ უპასუხებენ», და თურმე ეს იმიტომ ხდება. რომ მოწინააღმდეგეს «სათქმელი არაფერი აქვს» და კიდევ იმიტომ, რომ «ისინი თავიანთ მკითხველებს არაფრათ აგდებენ». გესმით მკითხველო? ის ხალხი, რომელიც გამეცმლობით და ჯაშუშობით თავის პირად ცხოვრებას აწყობს, თავის ბეჭნიერებას ეროს უბედურებაზე აშენებს, ის ხალხი, რომელშაც თავის პირად კეთილდღეობისათვის ურცხვათ გადაბიჯეს ათასობით დახვრეტილ მოამეთა გვამებს და კომუნისტურ სუფრასთან მიეცადა,—აი ეს ხალხი ბედავს გვითხრას: «გვეკამათეთ პრინციპიალურ კითხვებზე»-ო.

ცხადია, ეს უბედურნი იმდენად დაბრმავებულან, რომ ვერ ხედავენ რაზომ დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი და უსაზღვროა ქართველი ხალხის სიძულვილი და გულისწყრომა. ცხადია, მათ სრულიად დაუკარგავთ გონება და ვერ მიმხვდარან რომ კამათი ერის ეროვნ ებ ითან იქნებოდა ჩვენი ერის, ჩვენი თავის და ჩვენი მკითხველის ღირსების შელახვა და უპატიცემლობა.

ვინ ხართ თქვენ, რომ თქვენთან ვიკამათოთ? რა სთქვით თქვენ ისეთი, რაც თქვენზე უფრო ბევრთან ადრე არ ეთქვათ ბოლ შევიკეკბს? თქვენ მზოლოდ გაიმეორეთ ძველი, ბოლშევიზმის უტოპიური თეორია. ისიც სუტკათ და ლანძღვა-გინებით შეფერადებული, როგორც ეს საერთოთ რენეგატს სჩვევია. საერთაშორისო სოც. დემოკრატია, რომლის ერთი წევრი არის ს. სოც. დემ., ებრძვის საერთოთ ყოველგვარ უტოპიას და მუშათა კლასის დეზორგანიზაციას; როგორც ასეთს ებრძვის ბოლშევიზმს; თქვენ კი უკანასკნელის ერთი უპირისციპო ნაწილი ხართ. ჩვენთვის თქვენი როლი კიდევ უფრო საზიზღარი იმით არის, რომ თქვენ წითელი და სისხლიანი ეანდარმერიის, ჩეკის მარჯვენა ხელი ხართ და გამოდიხართ როგორც ოკუპანტების ჩვეულებრივი აგენტები. ასეთ ხალხს არც აქვს პრინციპები და არც შეიძლება ქონდეს გარდა სამოქმედო წესდებისა, რომელშიაც გარკვეულია გზები თფილ სავარძლებისაკენ და საშვალებანი ხალხის ნებისაგან გაქცევისა და მისი ფეხქვეშ გათელვისა. თქვენი «დეკლარაციები» და პლატფორმა მზოლოდ ასეთ წესდებებს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ვებრძვით არა თქვენს «პრინციპებს», რამდენ თქვენს უსინდისოსო მოქმედებას და ვებრძვით მას თქვენს დამქირავებელ-მასწავლებელთან ოკუპანტებთან ბრძოლით.

თქვენს «წმინდა მოვალეობას» ხომ ამ ოკუპანტთა ქება-დიდება შეადგენს და მეტი არაფერი. თქვენთვის ისიც დიდი პატივია, რომ ჩვენ ხანდისხან იძულებული ვართ გამოგეხმაუროთ ამა თუ იმ საკითხზე, რათა უარეყოთ თქვენ მიერ გავრცელებული ჭორები და ცილისწამებანი. თქვენი საქმეა იჯდეთ ტირანიელ ხელისუფლების სუფრასთან და მუდამ იყეფოთ. რათა არ მოგაყლდეთ თქვენი დამქირავებლის ნასუფრალი.

ტყვილათ ბრძანებთ. თითქოს ჩვენ პრინციპიალურ კითხვებს არ ვარკვევდეთ. მაშ რა კითხვებს არკვევენ თუ არა პრინციპიალურს მთელი ოიგი ბროშიურების, როგორიცაა მაგ. «ჭემი პასუხი», «ჩვენ და ისინი», «ბრძოლის საკითხები», «ბოლშევიზმი», «საქართველო და რუსეთი», «რა მოხდა», «ჩვენი ტაქტიკა», «ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი», «პოლიტიკა» და სხვა მრავალი.

მართალია ეს კითხვები თქვენ არ შეგიქმნიათ, მაგრამ რა შექმენით თქვენ?—არაფერი. გარდა ოკუპანტებისაგან გადმოღებულ ბაქიობისა, როცა წითელი იმპერიალიზმი ევროპაში აპირებდა სოციალიზმის «გაკეთებას» გარეშე იქაური მუშათა კლასის პროგრამისა და გეგმისა და როცა თქვენ, მათი ბრძანებით, აპირებთ სოციალდემოკრატიის დაშლას გარეშე მისი ნება-სურვილისა.

რამდენჯერ გამოაცხადეთ თქვენ და თქვენმა სისხლიანმა პატრონებმა სოციალ-დემოკრატია და ან. მარქსისტები დამილალთ და განადგურებულთან? რა ხანია მას შემდეგ? დღეს კიდევ აპირებთ დაშლას? თუ—არ გაქვთ იმდენი გაბედულება რომ სთქვათ, რომ არავინ გკითხავთ არც დაშლას და არც აშენებას.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: ახალგზელებს ეთაკილებათ, როცა მათ სამართლიანათ უწოდებენ გამყიდველებს, გამცემლებს, მოღალატეებს და სხვა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი და უდიო. მაგრამ მაინც შევეკითხებით «ახალგზელის» მესვეურებს; არის თუ არა გამცემლობა, როცა თქვენ, რათა დაიმსახუროთ ჩეკის ნდობა, სსმენთ მას ამხანაგებს და ორგანიზაციებს და ამით იკაფავთ გზას კომუნისტურ ტაბლისკენ? მაშ რა ეწოდება იმას, როცა თქვენ მოახსენებებზე მიღებულ შეკითხვებს ბრალთებს ჩეკაში ამბარებთ? ნუ თუ ყველა ამის შემდეგ თქვენ კიდევ დაგრჩით რაიმე სალაპარაკო ან თავის გასამართლებელი? ნუ თუ ყველა ის საბუთები, რომელიც ჩვენ ხელთ არის (და რომელთა გამოქვეყნება საერთოთ ჯერ შეუძლებელია მოსალოდნელ კიდევ უფრო უარეს რეპრესიების გამო) არ არის საკმარისი იმისთვის, რომ თქვენ გიწოდოთ გააცემლები, მოღალატენი, პროვოკატორები და სხ.

იდეურთან სრულიათ გაყოტრებულ ბოლშევიზმნის ფინიებმა, ბუნებრივია, რომ თქვენ ბრუნყალენით და კბილებით ჩაეჭიდოთ მომაკვდავ დესპოტიას და წყალწყალებულ რეჟიმთან ერთათ ხავს მოეკიდოთ, მაგრამ ახლოვდება ჟამი, როცა თქვენი პატრონენის ნამოქმედარს ისტორიას ჩავაბარებთ, როცა ყველა დაიფასებს თქვენს «ამაგს» და იძულებული იქნებით ხმა ჩაიწყვიტოთ. ა—ე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

საქართველოდან ღირშესანიშნავ ამბავს გვატყობინებენ. იქ სულ რამდენიმე პირისაგან შემდგარა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც შედიან, ერთის მხრივ, სოციალდემოკრატიულ პარტიიდან გარიცხულნი, ხოლო მეორე მხრივ. ორგანიზაციის გარეშე მდგომი ორიოდე ინტელიგენტი. «ამ ჯგუფის შეხედულება ეროვნულ საკითხში—გვწერს საკუთარი კორესპონდენტი—არ განსხვავდება ჩვენი შეხედულებისაგან, მაგრამ მას ყოველთა შეუძლია მიაჩნია ორგანიზაციული მუშაობა. ის მოითხოვს ძირითად ორგანიზაციების დაფუძვნას და ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის განსაზღვრას საქართველოსა და რუსეთის შესახებ სწორ ინფორმაციის დაგროვებით და საზღვარგარეთელ ბიუროსათვის მიწოდებით».

ძირს პარტიული ორგანიზაცია! ასეთია ამ ჯგუფის ლოზუნგი. როგორც ხედავთ, აქ მეორდება ძველი ლიკვიდატორობა, რომელიც პირველი რევოლიუციის შემდეგ წარმოიშვა რუსეთის სოციალდემოკრატიის წიაღში და თუმცა სუსტი გამოძახილი საქართველოშიც ჰპოვა. დაზოგეთ ძალები, ეროდეთ მთავრობის რეპრესიებსო— აი ლიკვიდატორთა საბუთი. საქართველოს სოციალდემოკრატიამ ეს გზა გადაჭრით დაგმო და არ ეროებდოდა არავითარ მსხვერპლს, რაიც თან სდევდა პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას.

სწორეთ ამ ორგანიზაციების წყალობით ჩვენმა პარტიამ დიდი ომის ხანაში თავიდან აიცილა მრავალი საფრთხე და საკმაოდ მომზადებული დაუხვდა 1917 წლის დიდ რევოლიუციას. რომ საქართველომ თავიდან ასე ადვილად მოიშორა გაბოლშევიკებულ-გახულგანებებული რუსის მილიონნაირი ლაშქარი, ქვეყანა აწიოკება-ეოკროვმებს გადაარჩინა და შემდეგ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას—ეს უმთავრესად იმ თავდადებულ მუშაობას მიეწერება, რასაც საქართველოს სოციალდემოკრატია რეაქციის შავნელ ხანაში აწარმოებდა თავის ორგანიზაციების გასამაგრებლათ და ამ გზით ხალხზე გავლენის გასამტკიცებლათ.

ცნობილია, დესპოტიის გაბატონებას მუდამ თანა სდევს ზოგიერთ ელემენტების მებრძოლ პარტიების გარეშე დადგომა. გმირობა და თავდადება ყველას როდი მოეთხოვება. მოვა დრო, როცა მრავალი ასეთი პირი კვლავ პარტიის რიგებს შეუერთდება და საერთო საქმის მონაწილე გახდება.

აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი გამდგარი პარტიიდან გარიცხულ პირთა დახმარებით ლამობს პარტიულ ორგანიზაციის დაფუძვას და მას «მაღალი მოსაზრებით» ასაბუთებს. მე წავიდი, შენც წაგახდინეო, სწორეთ ესაა.

განა საეჭვოა, რომ პარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაცია, რასაც ეს ჯგუფი ქადაგობს, საოკუპაციო ხელისუფლების წისქვილის აბრუნებდა? თუ ქართველი ერი ასე მტკიცეთ მიემართება ეროხეულ ადებული გზით, გადაჭრით მოითხოვს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენას და ვერასოდეს ვერ შეერიგდება დიქტატურას. რანაირი სახისაც უნდა იყოს ის, ეს ბევრნი სოციალდემოკრატიულ პარტიის ფეგაწლია. რომელსაც მაღალ უპყრია დროშა ერის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისა და მიუხედავთ აურაცხელ მსხვერპლისა პარტიულ ორგანიზაციის არსებობას დარაჯათ უდგია.

მოსპეთ პარტიული ორგანიზაცია და ქართველი ერიც დაიქსაქსება და დესპოტიის ხელში ხათამაშო საგნად გადაიქცევა. არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ არ ეროებება არავითარ პროვოკაციას, რომ ქართველი ხალხი თავის ჯოჯოხეთურ მახეში გაბმას და გაყლეტოს. ასეთ პროვოკაციათა წინააღმდეგ არსებობს მხოლოდ ერთი იარაღი: სოციალდემოკრატიულ პარტიის გაძლიერება და მისი ორგანიზაციული დარაზმვა. ეს ნათლათ აქეს შეგნებული მებრძოლ სოციალდემოკრატიულ პარტიას საქართველოში და სწორეთ ამით აიხსნება მისი არაჩვეულებრივი გავლენა ქართველ ერზე. ამიტომაც ჩვენ ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ გამდგართა ჯგუფი ვერას გახდება და მისი გეგმა პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობით ადვილათ ჩაიფუშება.

ჩვენ დღითი-დღე ეუახლოვდებით ბოლშევიკურ დესპოტიის ლიკვიდაციას. იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანათ ჩვენი მთავარი საზრუნავი საქმე იქნება თავიდან ავიცილოთ ქვეყნის არევდარევა, დავიმორჩილოთ ტალღა ანარქიისა და ხელი შევუწყოთ დესპოტიის დემოკრატიულ ლიკვიდაციას. კომუნისტურ დიქტატურის ნანგრევეზე ეროვნა აღმოცენდეგენ განთავისუფლებულ ერთა დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკები.

სოციალდემოკრატია მით უკეთ შეასრულებს ამ დიდ ისტორიულ მისიას, რაც უფრო შეკავშირებული და ორგანიზაციულთან დარაზმული დახვდება ამ აუცილებელ გადატეხას.

ან დიადი ისტორიული მომენტის ჩვენი რაზმების დაშლით და უორგანიზაციოთ შეხვედრა ნიშნავს ხელისუფლების მონარქისტულ-ფაშისტურ ელემენტების ხელში გადასვლას და მით დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისა დასამარებას.

ამიტომაც ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ზვეთი აღნიშნული ჯგუფი გონს მოვა, თვითვე აღიარებს თავის შეცდომას და ლიკვიდატორობასა და პარტიულ ორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს საბოლოოთ თვითვე აიღებს.

საქართველოს ვითარება.

(ჩვენი კორესპონდენტის ცნობა საქართველოდან)

სულისკვეთება კომუნისტებში. ბოლშევიკები და განსაკუთრებით ქართველი ბოლშევიკები ხომ, მიეხედავათ მათი ბაქობისა, მბდალნი არიან, ხოლო დღეს პირდაპირ მოიშალენ. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ბუხარინმა გააკეთა მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე მოხსენება საგარეო საფრთხის შესახებ და გადმოსძახა ქართველ კომუნისტებს—ფიხლეთ იყავითო! ამან გამგაგრების მაგივრად თავზარი დასცა ჩვენს კომუნისტებს: დადიოდენ სოფელ-სოფელ და ჯეეთებდენ მოხსენებებს ქართულ ემიგრაციის ვითომდა საინტერვენციო მუშაობაზე, ინგლისზე, პოლონეთზე და კიდევ ვინ იცის რაზე, და ბოლოს შეწუხებენი სახით დაასკვნიდენ: «ოში ატყდება, ჩვენ დავმარცხდებით, მაგრამ როგორც ერთი კაცი დავიხოცებით და მეწმენეკებსაც თან ჩავიტანთ სამარეშიო!» უმატებენ—ჩვენი მემკვიდრე შავი რეაქცია იქნებაო. მთელი კომუნისტური პრესა, «ავგტ-პროპის» ვეებერთელა აპარატი, «ყოფილები» ა. ნელადის ხელმძღვანელობით ჩაბმული არიან ამ კამპანიაში. იმდენად დამფრთხალი არიან, რომ ახდენენ საჩიტე თოფების, ხანჯლების და ლეკურების კონფისკაციას. მთელი ეს აურ-ზაური აღწევს მათი სურვილის სწორად საწინააღმდეგო შედეგს: ქვედა ფენებმა შეიგნეს კომპარტიის დამარცხების აუცილებლობა და მთა ნაკლებათ ხიბლავს უსათოოთ მეწმენეკებთან ერთად საფლავში ჩასვლა. «სახელოოვან» კომუნისტურ სიცვდილს სიოცოცხლე ურჩევნიათ. ამიტომაც მთ რიგებში უფრო და უფრო ხშირად გაინსმის სურვილი ხალხთან საერთო ენის გამონახვისა, ითვალისწინებენ თავის გადარჩენის საშუალებას, ცდილობენ ხალხს დაუახლოვდენ, სამსახური გაუწიონ მათ, ვისაც გუშინ ცხეში აჯენდენ.—«მართალია ვმარცხდებით. მაგრამ იკითხონ თავებმა, თორემ მე რა მიეჩრს—ხალხისთვის ცუდი არაფერი მიქნია, მე რას მერჩიან»-ო, ასე მსჯელობს ეხლა ქვედა ფენების კომუნისტი.

არც ერთი ქვედა წრეების პარტიული დღეს კომუნისტებისათვის საიმედო არ არის. ამიტომაც, თუმცა დიდი რეპრესიებია, მაგრამ ზოგიერთ ძველებურ ზომებს, როგორიც იყო პარტიულების ყარაულობა (მაგალითად, ობოლაძის დროს გურიაში და კახეთში) ისინი ვეღარ ატარებენ...

ჭერა... გადასახლება... ამ წლის დამდეგიდან მასიურმა ჭერამ სისტემატიური ხასიათი მიიღო: გურიაში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ქუთაისში, თფილისში და ბათომში. მოპყრობა ჩეკაში და ციხეში ტუსაღებისადმი ძველებურად აუტანელია. განსაკუთრებით აწამებენ ახალგაზდობას. ერთი ახალგაზდა, კიკვიე, ცემისაგან ჭკუაზე შეიშალა და აშკამათ საავადმყოფოშია. არ ერიღებიან არც ძველ სახელგანთქმულ რევოლიუციონერებს. გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული ამსახაგი კ. კანდელაკი კვლავ დაატუსაღეს და 6 თვე ჩეკა-ციხეში სტანჯეს და აწვალეს, ბოლოს კი სხვებთან ერთად რუსეთისაკენ გაუძახეს. ტუსაღებს სასჯელს სამშობლოში აღარ ანდევენებენ, ყველას რუსეთში აგზავნიან და ისიც რუსეთის ყველაზე უფრო ცივ ადგილებში. საკატორღო ციხეებში. ხალხი გაღატაკებულია, არავის არ აქვს საშუალება თბილი ტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსის შეძენის. თან გადასახლება ისე სწრაფათ, მოულოდნელათ ხდება, რომ ბაბანაც კი, ვისაც საშვალება აქვს. ვერ ასწრებენ მომზადებას. ყველა გადასახლებულს მოელის სიცივისაგან დაავათყოფება, თუ არ სიკვდილი; შიმშილს ნოღა იკითხავთ. ასახლებენ ხალხს არა მარტო პოლიტიკური ბრალდებით, არამედ მოსდებენ ხშირად კონტრაბანდისტობას ან «ვალიუტჩიკობას»—ასეთია ბრალდება და მისი დამტკიცებისათვის ხომ თავს არავინ იწუხებს. ჭერა და გადასახლება თანდათან მატულობს.

უკანასკნელად გაგზავნეს 65 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი გადასახლებულთა.

ამერიკელ მოქალაქის დახვრეტა. 1924 წლის ზაფხულში თბილისში ჩეკამ დაუპატიმრა ამერიკის ქვეშევრდომი ინჟენერი ალბერტ კუდრეტინნი (კუდრიავეი), რომელსაც ამერიკიდან საქართველოში ჰქონდა ჩამოტანილი დიდი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამდენი ხნის წვალების შემდეგ (ორ წელიწად ნახევარი ჰყავდათ ჩეკაში) ის დახვრიტეს და მისი ქონება კი მიითვისეს. ბრალსა სდებდენ ვითომ შპიონობაში.

განსვენებული გაეცნო და დიდი პატივისმცემელი იყო ყველა იმ ჩვენი ამხანაგების, ვინც ამ ორი წლის განმავლობაში მის საკანში გიაიარა. ის მოწამე იყო 24 ავკუსტო-სექტემბრის დახვრეტების.

ისევ მაგარი კურსი სოფლად. ოპოზიციის მემარცხენე ფრაზების გავლენით სოფლად ტარდება «ახალი კურსი», ახალი—გასული წელთან შედარებით. მაშინ კომუნისტებში ერთგვარ ლიბერალურ დაგახრას ჰქონდა ადგილი: საბჭოთა არჩევნებში დანიშვნის მეთოდი თითქოს მოახსენა, შეიმაცოეს გადასახადები, ვლენებს დაუწყეს ოდნავ ადამიანურად მოპყრობა და სხვა... წელს კი ისევ 1921 წლის პირობები ადადგინეს. ერთის მხრივ მასების აქტივობამ იძულებული გახადა ბოლშევიკები ამ წლის დამდეგს ჩატარებულ არჩევნებში ისევ დანიშვნით მეთოდისათვის მიემართათ, რათა თავიდან აეცილებიათ სკანდალური შედეგები; მეორეს მხრით, ოპოზიციის გავლენამ და სახანონო ჯიბის დაცარიელებამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შესამჩნევათ ზრდა. გადასახადის არ გადახდას მოყვა მთელ რიგ მაზრებში საწინააღმდეგო მილიციის საშვალებით ჩამორთმევა. ყველამ მოიგონა მეფის რეკიმი: მაშინ მაინც გადასახადები ნაკლები იყოვო.

ჩეკა პროვოკაციას სთეგავს. ადგილათ გიგებთ, რომ აწერილ პიროებებში მეტათ დიდი შანსები აქვს ყოველგვარ პროვოკაციას და ჩეკა კიდევაც სცდილობს პროვოკაციების მოხდენას: ასე მაგალითად დაყარეს ხმა ბათუმის რაიონში—ჟორდანია და რამიშვილი სახღვარზე არიან მომდგარი და თან მოყავთ ოსმალეთის ჯარიო. ისე მოხერხებულათ გაეცალეცალებიათ ეს ხმა, რომ ბევრს გულწრფელათ დაეჯერებინა. მაგრამ ჩეკას მოეწყოდა ამ პროვოკაციის გაფფრთოება და ეზიგ ბურიის ჩათრევაც. აქ კი მაშინვე მიხვდენ ვისი ხელიც მუშაობდა და მთელი მოწყობილი პროვოკაცია ჩეკას ჩაუშვიეს. ჩვენი ორგანიზაციები გამუდმებით აფრთხილებენ ხალხს არ აყვეს ჩეკის მიერ გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებს და არ მისცეს მტერს საშუალება მისი პროვოკაციულ განზრახვების ასრულებისა.

კვლავ «სწმენდენ» დაწესებულებებს. თფილისში მეტისმეტათ მძიმე მდგომარეობა შეიქნა. შეუდგენ დაწესებულებების «გადასახალისებას». ძველ მუშაკებს, ვინც პოლიტიკურათ არა საიმედოთ მიაჩნიათ, ითხოვენ სამსახურიდან. მაგა ადგილას ნიშნავენ ყოველად უვიც კომკავშირელებს და საზოგადოთ თავიანთ ხალხს. ითხოვენ «უკლონისტებსაც», ვისაც «ეოდვა» არ მოუნანებენთ.

«ყოფილები» ბეზღვენენ... «ყოფილ» ახალგაზდა მარქსისტებმა» დაიწყეს სასწავლებლებში მოხსენებების ჩატარება: მოუწოდებენ მოწაფეებს დასტოვონ ძველი გზა და შეუფითდენ კომკავშირელებს. ამ კრებებზე მომხსენებელებს აძლევენ აუარებელ შეკითხვებს წერილობით და ზოგჯერ სიტყვიერადაც გამოდიან მათ წინააღმდეგ. შეკითხვები ატართ, კომუჯარედის და ეკონომიის დაბეზღებით, განათვლის კომისარიატის განკარგულებით ითხოვენ სასწავლებლიდან. ხოლო ჩეკა აპატიმრებს დათხოვნილთ. ამის გამო სასწავლებლებიდან დათხოვნილ და შემდეგ დაპატიმრებულ იქნა რამოდენიმე ათეული მოწაფე.

«დელეგაციები». სხვადასხვა ქვეყნის «მუშათა» თუ სხვა ორგანიზაციების «დელეგაციებს» სვლამ რუსეთში და იქიდან აუცილებლივ ჩვენშიც მოარულ სენის ხასიათი მიიღო. მათი ნებაა ისეირნონ და იქეიფონ ამ სუფთა ჰაერზე; ამის მეტი შედეგი რომ არ ჰქონდეს მათ მოსვლას ჩვენში, სადარდელი არაფერი გვექნებოდა. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე იმაშია, რომ თვითეული დელეგაციის ჩამოსვლას თან ხდება წინასწარი მოსაზრება-დაპატიმრება; არც დელეგაციის წასვლა ბოლოვდება უზარალოთ: გარდა ფიზიკური ზიანისა რეპრესიების სახით დელეგაციების მოგზაურობა და მათი შემდეგი საქ�გვაყენებს იდეურ ზიანს: ჩვენი მუშები და ჯლეხები, რომლებიც 30 წლის განმავლობაში მუშათა სოლიდარობის იდეებზე იზრდებოდნენ, პირდაპირ აღშფოთებაში მოჰყავს დელეგაციების დაკლარაკებს, დაწერილი ერთდროიმავე მანერით ტირანების საქებსადიდებლათ. თანდათან, წვეთწვეთობით ჩვენი მუშების გულში ინერგება გულგაცრუება მუშათა სოლიდარობაზე, ინტერნაციონალობაზე, სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა ინტერესების ერთიანობაზე. ფუჭდება არა მარტო სადღეისო საქმე, ზიანდება სამერმისო საქმეც...

გადასახლებულის წერილი გზიდან. «. . . ჩვენი გადმოსახლების წინა დღეებში კვლავ დაიწყო დაპატიმრებულთა დენა საქართველოს ყოველი კუთხიდან მეტეხის ციხისკენ. სჩანს ჩეკა კვლავ განაგრძობს მასიური დაპატიმრებას. მეტეხში ტევა აღარ იყო. 15 კაციის ადგილზე 30-40 კაცი. ზოგიერთები კიდევ ფიქრობენ გაძრომის პოლიტიკის წარმოებას და ამ მიზნისათვის «ვაჭრობას» მართავენ ჩეკასთან. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს ეგრეთ წოდებული მუშათა კომისია, რომელსაც აჯანყების შემდეგ ერთი კაციც არ გაუშვია ციხიდან, ხოლო თავისი დაპირებებით ქმნის პატიმრებში ნერვიულობას. ასე იქცეოდა ის ყოველთვის და ასე იქცევა ამ ეამადაც. მეტეხ სამწუხაროა, რომ ხშირათ პატიმართა ეროისუფალნი ტყვიალთ იმიერებენ თავს ამ მოლალატეთა კომისიასთან მისვლით ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეხლა ჩეკის კანაკეტებიდან ხელწერილით დაძრომა ნიშნავს ჩეკის ჯაშუშთან გახდომას.

მოსკოვმა საქეეყნოთ გააკეთა პროოოკაციური განცხადება—«საზღვარგარეთ დადგინეს კვლავ მოაწყონ აჯანყება საქართველოში»-ო. და თავის ყურმოჭრილ მონებს—ქართველ ბოლშევიკებს უბრძანა მიაკეკეთ ამას ყურადღებაო. მათაც არ დააყოვნეს და გააჩაღეს კამპანია, ხოლო ამ შემთხვევაში მათ ამჯობინეს სცენაზე გამოეყვანათ ისინი. ვინც თავის პირად კეთილდღეობისთვის ოცდათა ვერცხლათ გაპყიდეს საქართველო და შუშთა კლასის ინტერესები და რომელთაც სირცხვილის ნატამალიც აღარ გააჩნიათ. ასეთი ხალხია: პ. გელეიშვილი, კ. სულაქველიძე, ა. ხელაძე, ივ. გომართელი, კ. გოგოლაძე და კამპანია. მათი განგაშში ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგანაც ეს ყველა ჯურის რენეგატთა და მოღალატეთა ბუნებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოაკლდებოდათ საკვები ბოლშევიკთა სუფრიდან. ჩვენ მხოლოდ გვაშფოთებს და გვაკვირვებს ის მდგომარეობა, რომ ნაძირალებთან და ჯაშუშებთან მიდიან და მათ ეხმაკენილებიან ისეთებიც კი, რომელთაგანაც არ მოველოდით ჩვენი ერის და პარტიის ღალატს. ხსენებულ მოღალატეთა ჯგუფი ჩეკის ბოძალებით უშვებს საპროოკაციო ყურნალს «ახალი გზა»-ს და ეწევა ჩვენ წინააღმდეგ ისეთ სახიზღარ კამპანიას, რაც ალბათ თვით კომპარტიასაც სათაკილოთ მიაჩნია. ეს ეიპბატონები პირდაპირ ჩეკისტურათ აყენებენ კითხვას: «ან მოიწონეთ ჩვენი მეშობა, ან დაიწუნეთ: ვინც ჩვენთან არ არის, ის რამიშვილოსმის მოამბრეა. ან ჩვენთან ან რამიშვილთან, ან აქ ან ეს». ეი მათი ახალი გზა.— ამით ისინი აძლევენ ჩეკას ხელში, ყველა იმათ, ვინც მათებრ არ კისრულობს ჩეკის აგენტობას. ამით ისინი ჩეკას აბეზრებენ ამ ხალხს, რომლებიც იძულებული არიან პოლიტიკის გარეშე დადგენ. ჩეკაც უსმენს ამ გამეკლილებს და აპატიმრებს ყველას, ვინც მონურად ქედს არ იხრის მის წინაშე. სისხლიანი ხელისუფლება ვერ ძღება ქართველი ხალხის სისხლით. მისთვის საკმარისი არ არის მრავალი ათასი, ვერაგულათ დახვრეტილ-დახოცილი. დღიდან საქართველოს დაპყრობისა განუწყვეტელივ ოღვრება ქართველი ერის საუკეთესო შვილთა სისხლი. თავისუფლებისათვის თავდადებულ მეგრძძოლთ ზუოგზე ბარგაკიდებულთ ყოველდღე აშორებენ თავის ძვირფას სამშობლოს საზღვრებს და მიეოკეებიან სოლოოკის კუნძულებზე და რუსეთის სხვა გადაკარგულ კუთხეებში. და ჩვენ ყველა, ვინც ჯერ ვიმყოფებით ხელისუფლების კლანჭებში, მიტანილი ვართ საშსხვერპლოზე და გამზადებული დასაწვავათ... უფლებას მივცემთ ჩვენ თავს ვკითხოთ ყველა იმას, ვინც გვერდში უდგას სულმდაბალ ახალგზელებს და თავის შეფარებას ცდილობს ბოლშევიკების კალთის ქვეშ: რათ ისკრით ხელებს ჩვენს სისხლში? ნუ თუ თქვენ გსურთ გაინაწილოთ პასუხისმგებლობა ყველა იმ ბოროტმოქმედებაში და სისაძაგლეში, რაც ჩაიდინეს ბოლშევიკებმა ჩვენში? ნუ თუ თქვენ თანახმა ხართ იმისი, რომ ქართველი მებრძოლნი იხვრეტებოდნენ და ზოგი რუსეთის ყინულოვან რაიონებში იგზავნებოდნენ? ჩვენ ვიცით, რომ მათ ჯოჯოხეთური პირობებს უქმნიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალას ატანენ, ტეროროს ქვეშ აყენებენ, მაგრამ ჭირს გაძლება უნდა. რამდენადაც შეგვიძლია გავეკვეთ ბოლშევიკურ პროსიდან, ჩვენ ვდგევართ დიდი ამბების წინაშე: წყდება დიდი მსოფლიო კითხვები და ღიის წესრიგში დგება საბჭოთა რუსეთის და მის მიერ დაპყრობილ ერთი ბედიდბალიც. ეს გვიკარნახებს არა იმის ქადაგას, რომ ბოლშევიკებმა სამოთხე დაამკვიდრეს საქართველოში, არა ისეთ მოქმედებას, რომელიც დასტურებს და ამართლებს ბოლშევიკების თარეშს საქართველოში და მათ ძმაურ რეპრესიებს, არამედ სულ სხვა რამეს. ჩვენ ეფიქრობთ, რომ მებრძოლმა, მუშებმა, ინტელიგენციამ და ახალგაზდობამ, რომელთა დაპყრობას ასე სცდილობს ჩვენ, სულ სხვა გეზი უნდა აიღოს. მსხვერპლის გაღებას არ უნდა ვერიდოთ, განსაკუთრებით ინტელიგენციამ ხმა მაღლა უნდა აღიაროს, რომ ხელისუფლებამ შეს‌წყვიტოს რეპრესიები ქართველი ხალხის წინააღმდეგ. შექმნას ნიადაგი ყველა სადაო კითხვების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის, მისცეს ხალხს საშვალება თავისუფლათ გამოამჟღავნოს თავისი გულის ნადები. უკეთუ ასეთ გმირობას ვერ გამოიჩენს ჩვენი ინტელიგენცია, უმჯობესია გაჩუმდეს და ხელს ნუ-უწყობენ ბტრების ქართველი ხალხის განადგურებაში.

ყველა უნდა იდგეს თავის სიმაღლეზე და პირნათლათ ასრულებდეს ისტორიის დავალებას. ყველა უნდა ცდილობდეს არ დაიმსახუროს ერის ულირსი შვილის სახელი. ამას ვამბობთ იმათ გასაგონათ, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს პასუხისმგებლობის გრძნობა ერისა და პარტიის წინაშე.»

გადასახლებულის კერძო წერილიდან. «... ფოსტით ორი წერილი მოვიწერე. მათი შინაარსი სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ოფიციალურათ გამოვაგზავნე. მეძალება საშვალება კერძო ბარათის მოწერის და გაწერი ჩვენი მგზავრობის სწორ ამბავს. ეტანის საშინელება ვიგრძენით თფილისიდან გამოსვლისთანავე. ვაგონში უადგილობა, უწყლობა მთელი დღეებით, მხეკი, უკულტურო «კონვოორები» და ხელპირ დაუბანლობა,—აი რა ახასიათებდა უმთავრესათ ჩვენს მგზავრობას თფილისიდან ბაქომდე. არ შეგვეძლო ლაპარაკი ხმამაღლა. ძაძინება (უადგილობის გამო), ფეხზე გაჩერება და ფანჯარაში გადახედვაც კი. «კონვოორები» მიმართულ კითხვების პასუხათ დედის გინებით და უშვერი სიტყვებით გვიმასპინძლდება და ამის გამო ყრუ საყვედურის გამოთქმისათვის ხმალსა და რევოლვერს გვიპირდაპირებენ. ასეთ პირობებში მოგვიხდა თფილისიდან ბაქომდე მგზავრობა. ალბათ ასეთი ეკსკურსია ჩვენი ხვედრი დანიშნულ ადგილზე მისვლამდის. ერთი დღის და ღამის დატანჯვვის შემდეგ, როგორც იყო ჩავედით ბაქოში. აქ ვიგაინიდან ვიგაინში გადაგვსვეს და გამოვეშურეთ პეტროვსკში. შეუძლებელია კალმით აწერა იმის, თუ რას წარმოადგენს პეტროვსკის ციხე, სადაც კარგა ხანი დავყავით. ვერ ვიფიქრებდი თუ ასეთ სიბინძურეს ადგილი ექნებოდა სახელმწიფო დაწესებულებაში. ბინძურ, ტალებიან, ნოტოა, ნახევრათ დანგრეულ პატარა საკანში 40 კაცი მოგვათავსეს. შიგ აუტანელი სუნია. ძილი შეუძლებელია ამ სუნის გამო. დღე და ღამე დაკეტილში ვართ. სეირნობას მხოლოდ ერთხელ გვაძლევენ და ისიც რამოდენიმე წუთითი (10). სეირნობას თავის კანონები აქვს: პირდაპირი სიარული არ შეიძლება, წრე უნდა აკეთო და თუ გაგიწყრა ღმერთი და წრეს გადაცდი, საკანში დაგაბრუნებენ. ცხადია. დღეში ორჯერ ადამიანს ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა. საკნის ვეგრდით ფეხისადგილია მოთავსებული. მაგრამ ბევრი ჩვენგანი კუშის ტკივილს, თავშეკავებას არჩევს იქ გასვლას. რატომ? იმიტომ რომ იქ სიარული სარისკოა. სანტატრულ-ჰიგიენური მოსაზრებაც რომ არ მიიღოთ მხედველობაში და მათ გარეშე გასაჯოთ—ფეხისადგილში გასვლა საშინაო მხოლოდ იმიტომ, რომ შიგ არ ჩაიხრჩოთ—ყველამდე შარდი სდგას. ასეთია ჩვენი ცხოვრება. ბუნებრივათ ისმება კითხვა: ნუ თუ ყოველივე ამას ჩვენ, პოლიტიკური ტუსაღები, არაფერს უპირდაპირებთ? არა და იმიტომ, რომ ბრძოლა შეუძლებელია. გადაეწყვიტეთ როგორმე მოვითმინოთ, უსიტყვოთ დავეშორჩილოთ ჩვენს მბრძანებლებს, სანამ აქედან გაგვამგზავრებდნენ. მიუხედავად ასეთი პირობებისა, ტტრის გულის გასახეთქათ—ყველანი ყოჩაღათ ვართ. არავითარი ავათმყოფობა არ გვაწუხებს და სულიც მაგარი გვაქვს. ვიცოდი შენ და ყველას გაინტერესებდათ ჩემი მგზავრობა და ამიტომ მოგწერეთ, თორემ განა ღირს ამის შესახებ წერა? მოგიკითხათ ყველამ.»

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ანჯაფარიძის გასამართლება.

ეს მეორე საჯარო გასამართლებაა ჩვენი ამხანაგების და ორივე შემთხვევაში ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ; ხელისუფლება ოვიეეკერ ჩაიჭარა. ანჯაფარიძის პროცესი დიდი მზადების შემდეგ დაიწყეს. ჯერ ქვეყანა გააყრეს ჯაშუში დავიჭირეთ, პოლოსნეთის შტაბის აგენტი ხელში ჩაგვიკარდა და ამ ჰანგზე აწრიპინეს ყველა მოყიდული ჯალმები. მარა როცა საქმე მიდგა საქმეზე, გამოჩნდა რომ მთელი ეს წრიპინი უბრალო საბაჯტაციო ფანდები იყო. ანჯაფარიძე დანაშაული ყოფილა იმაში, რომ ის სოციალდემოკრატია. თავის ქვეყანის დამოკიდებლობის მოტრფიალეა, არა-ლეგალური მომუშავეა—ერთი სიტყვით გაბედული, თავდადებული რევოლიუციონერია. ასეთი მოღვაწე ბოლშევიკებს ახლა მეტად ეუცხოვებათ, უანგარო მებრძოლი მათვის იგივეა, რაც ხარისათვის ფოთელი ფერის ჩვენება. და აი, პროცესზე ატყდა დიდი განგაში. წამოიყენეს ცრუ მოწმეები. პროვოკატორები და ჯაშუშები, ვიღაცამ იქამდისაც კი მივიდა რომ განაცხადა—ᲠᲔᲚᲯᲮᲝ პარიზში იყო სოც. დემოკრატიულ ბიუროსან მოსალაპარაკებლათო, იტყუეს. იცრუეს, სწერეს კიდევ მეტი და ბოლოს, როცა ანჯაფარიძის წინააღმდეგ შეთხზული ხეხული დაიფუშა, მას ბრალდებათ წაუყენეს დამოუკიდებელი საქართველოს საქმეები. გამოიყვანეს ამ საქმეების მთავარ პასუხისმგებელ პირათ და გამართეს სასამართლოს კომედია—საბრალმდებელო სკამზე დაჯაჭილს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. თუმცა ანჯაფარიძე არ იყო ამ რესპუბლიკის საქმეთა ახლო მონაწილე, არ იყო მასში მეთაურებივით ჩახედული. მარა მან გამოიჩინა საკმაო სიმაგრე, ცოდნა და გამბედაობა, რომ ყბედი მოწინააღმდეგენი ემხილებია. მათთვის პირში ბურთი ჩაეჭარა და თავისი სამშობლო ღირსეულად დაიცვა. მას მაღლა ეჭირა თავისუფალი საქართველოს დროშა და ის ერთხელაც არ დაუწეკია დარბაზში მორეკილ ბრბოს წინაშე. მან შეასრულა თავისი მოვალეობა თავის პარტიის და ქვეყნის წინაშე და არ დაემსგავსა იმ რენეგატებს, რომელთაც ოცდაათ ვერცხლად გაჰყიდეს პარტიაც და ქვეყანაც. ქართველი ერის ტანჯულები სული ანჯაფარიძეებში პოვებს თავის გამოხატულებას. ამ თავის რწმენის ერთგულებისათვის ის იღებს რვა წლის ციხეს, ხოლო გელეიშვილები რწმენის მოღალატეობისათვის —ᲯᲘᲚᲔᲑᲘᲡ და ფუფუნებას. რამდენი ანჯაფარიძენი იტანჯებიან ტყეეობაში გაუსამართლებლათ. მათი ხმა ჩვენამდე არ აღწევს. ხარკოვის პროცესმა გააცნო უკრაინას მებრძოლი საქართველო, მისი მისწრაფება და მუშაობა. ბოლშევიკური პროცესი შებრუნდა მთ წინააღმდეგ და ეს მუდამ ასე იქნება, როგორც კი სიბნელეში მოჭახრაკებულ ბორტებას სინათლეზე გამოიტანენ. ანჯაფარიძემ საკმაო ნათლათ გაეოკვა მის წინააღმდეგ დაგებულ ქსელში და იქიდან წმინდათ გამოვიდა, მან გიმმარჯვა მორალურათ.

წერილები ინგლისიდან.

IV.

1. ლორდთა პალატის რეფორმა. 2. ანგლო-რუსული კომიტეტი. 3. ტერორი რუსეთში და ინგლისის მუშათა კლასი. 4. მემაღაროეთა კონფერენცია.

ლორდთა პალატა შესდგება 720 წევრისაგან. მთავრობის პროეკტის ძალით განზრახულია ეს რიცხვი შეამცირონ 350-დე. დიდი უმრავლესობა ამ 350 წევრისაგან არჩეული იქნება თვით ლორდების მიერ. აქამდე კი, როცა კონფლიკტი ხდებოდა თემთა და ლორდთა პალატების შორის და ეს კონფლიკტი კრიზისის ხასიათს იღებდა, მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ქონდა მეფისათვის წარედგინა ლორდთა პალატაში შესაყვანი ახალი წევრების სია. მეფე ამტკიცებდა ამ სიას, ინიშნებოდა ახალი წევრები ლორდთა პალატაში და ეს უკანასკნელიც დაბოლოს იძულებული ხდებოდა ქედი მოეხარა. დღევანდელი პროეკტის ძალით კი, თუმცა მთავრობის თავმჯდომარეს ეძლევა უფლება მეფეს წარედგინოს დასამტკიცებლათ ლორდთა პალატაში შესაყვანნ ახალ წევრების სია, მაგრამ ამ დანიშნული წევრების რიცხვი ისე მცირეა, რომ მას არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი გავლენა არ ექნება თვით პალატის შემადგენლობაზე. დღეს ლორდთა პალატას არ აქვს უფლება პარლამენტის მიერ მიღებულ ფინანსიურ ზომებში რაიმე შესწორება შეიტანოს, ან უარყოს ის. განხრახული პროექტით კი ლორდთა პალატასაც ექნება უფლება ამ საკითხში მონაწილეობა მიიღოს და ამ სფეროში ქვედა პალატის მუშაობა შეაფერხოს. ლორდთა პალატას ეძლევა საშუალება ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი თვეობით გააჭიანუროს, ან უარყოს ბიუჯეტი და მით ყოველივე მთავრობის არსებობა შეუძლებელი გახადოს. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ პროექტის ძალით პარლამენტს ერომეცვა უფლება ჩაერიოს ლორდთა პალატის კონსტიტუციის საკითხში. მაგალითად შეიძლება მომავალ არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვოს. მთავრობა შეადგინოს მუშებმა ან ლიბერალებმა, მაგრამ ძალა უფლება კი ლორდთა პალატის საშუალებით მაინც კონსერვატორების ხელში დარჩეს.

ამ პროექტმა უკმაყოფილება გამოიწვია არა თუ მუშების და ლიბერალების წრეებში, არამედ თვით კონსერვატიულ პარტიაშიც. ამ უკანასკნელის გამოჩენილი წევრები საჯაროთ აცხადებენ პროექტის საერთო მდგომარეობასან შეუფერებლობას. მათის აზრით პროექტის წყალობით შესაძლებელია მომავალ არჩევნებში კონსერვატიულ პარტიის განადგურება. პარტია ამ საკითხში თითქმის ორ თანასწორ ჯგუფად გაიყო. მთავრობა იძულებული გახდა გაეცხადებინა, რომ მისი პროექტი ჯერ მხოლოდ წინადადებებს წარმოადგენს, რომელიც საჯაროთ გარჩეული იქნება, რათა მთავრობამ კრიტიკა და შენიშვნები სახეში მიიღოს. ეს უკან დახვევაა, მარა ამით პროექტი მოხსნილი არ არის. პროექტის ბედი და შანაარსი დამოკიდებულია კონსერვატორების პოზიციაზე—რამდენათ შესძლებს მთავრობა შეათანხმოს თავის პარტიაში სხვა და სხვა შეხედულებანი, რათა შემდეგ პარტიის მიერ ზურგგამაგრებულმა შეიტანოს პროექტი ამ პალატაში, რომელსაც კიდევ ერთი წლის სიცოცხლე დარჩენია.

* * *

ბევრი დრო და ენერგია დახარჯა ანგლო-რუსული კომიტეტის დასაარსებლათ უნდა ითქვას მან დიდი სამსახური გაუწია მოსკოვს. ანგლო-რუსული კომიტეტის წევრების—პერსელის, ბრამლეის, ტილეტის, ჰიკსის და ბრომლეის—წყალობით იყო, რომ ერთ დროს ინგლისელი ტრედუნიონები ბოლშევიზანობდენ. ბოლშევიზანთა ფრთა იმდენათ ძლიერი იყო ინგლისის მუშათა მოძრაობაში, რომ მან დიდი გავლენა იქონია მაკდონალდის მთავრობაზე რუსეთის ცნობის და რუსეთ-საქართველოს ერთმანეთთან დამოკიდებულების საკითხში. გასულ წლების განმავლობაში რომ ინგლისელი ტრედუნიონები გზაბანეული არ ყოფილიყვენ, მათ რომ ნათელი წარმოდგენა ქონოდათ საბჭოთა რეკიმზე და მის ხელმძღვანელებზე, რუსეთში დღეს სხვანაირი მდგომარეობა იქნებოდა.

ინგლისელების თვალების ახელა იწყება გასული წლის მაისის საყოველთაო გაფიცვისა და ბორნემუთის ტრედუნიონთა კონგრესის დროიდან. მაშინ ინგლისელებმა უკვე ნათლათ დაინახეს, რომ ბოლშევიკების გარკვეული მიზანი იყო ინგლისის მუშათა მოძრაობის აოვე-დარეკვა და მისი თავის იარაღათ გახდა. ინგლისელებმა იმ დროს რუსებს მედიდური პასუხი გასცეს და კარებზე მითითებით დაიმუქრნენ. ამის შემდეგ ბოლშევიკებისადმი პატივისცემა და ყურადღება თანდათან ნელდებოდა და მცირდებოდა. დაბოლოს, როცა ბოლშევიკები აქედან გაამევეს, ამ თავისთავათ დიდ ფაქტს არავითარი გამოძახილი არ გამოუწვევია ინგლისის მუშათა კლასში. ბოლშევიკები შეშფოთდენ. მოროვს ყვირილი ოფის საშიშროებაზე და სთხოვდენ ინგლისელებს ოფის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაემართათ მთელ ინგლისში. ყველა ამ კითხვების გასარკვევათ და სათანადო ზომების გამოსამუშავებლათ კი მათი აზრით დაუყონებლივ ანგლო-რუსული კომიტეტი უნდა შეკრებილიყო.

გასულ ივნისს 17-ს ბერლინში შეხვდენ ერთმანეთს ანგლო-რუსული კომიტეტის ორ-ორი წარმომადგენელნი. ინგლისელებმა განუცხადეს რუსებს, რომ ეს უკანასკნელნი მეტათ აჭარბებენ რუსეთის წინააღმდეგ ოფის საშიშროებას და რომ ინგლისელები საჭიროთ არ ცნობენ დემონსტრაციების მოწყობას ინგლისში. რუსებიკი თავისას გაიძახოდენ და თხოულობდენ მოწვეულ ყოფილიყო ანგლო-რუსული კომიტეტის პლენარული სხდომა. ცხადია, რუსებს ოფის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მოწყობა ინგლისში სურდათ არა ოფის თავიდან ასაცილებლათ, არამდე საზოგადოებრივი აზრის ბოლშევიკების სასარგებლოთ მოსამართავათ და ინგლისის მუშათა კლასში უკვე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაკარგულ სომპატიის და პრესტიჟის აღსადგენად. ინგლო-რუსული კომიტეტის მომადგენელნი ბერლინში გერ შეთანხმდნენ 20 ივნისს გენერალურმა საბჭომ მოუსმინა უკან დაბრუნებულ დელეგატებს რუსებთან თათბირის შესახებ და მიანდო სპეციალურ კომისიას რუსებისათვის წერილობითი პასუხის შემუშავება და მისი შემდეგ კრებაზე წარდგენა. მოსკოვმა და ადგილობრივმა კომუნისტებმა პასუხის ამდენი ხნით დაყოვნება გაიგეს როგორც ნამდვილი საბოტაჟი გენერალური საბჭოს მხრივ და ინგლო-რუსული კომიტეტის აბუჩად აგდება. ეს მართლაც ასეა. გენერალური საბჭოს შემდეგი სხდომა იყო 15 ივლისს, მაგრამ რუსების საპასუხო წერილის დღესაც არაფერი ისმის.

ამგვარათ ინგლო-რუსული კომიტეტის მზე ჩაესვენა. ფაქტიურათ ის უკვე მკვდარი ორგანიზაციაა.

* * *

ტრედუნიონების გენერალურმა საბჭომ. თუ გნებავთ, გასცა კიდეკ რამდენიმეთ პასუხი ერთ თავის აქტში: 22 ივნისს გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის ეგზეკუტივის შეერთებულ სხდომაზე გამოტანილ იქნა მეტათ მკაცერი რეზოლიუცია ვოიკოვის მოკვლასთან დაკავშირებით ბოლშევიკების მიერ მასიურ ხვრეტის განახლების გამო. ინგლიზნი არ დარჩენილა არც ერთი მუშათა გაზეთი, რომელსაც შესაფერათ არ დაეფასებინოს ბოლშევიკების ბარბაროსობა და არ გაეფრთხილებინოს ისინი. მუშათა მოძრაობის ერთი ცნობილი ხელმძღვანელი თავგანი—ჰერბერტ მორისონი—ტრედიუნიონებში და მუშათა პარტიის ოფიციალურ ორგანოში—«ლეიბორ მაგაზინში»—შემდეგს სწერდა: «ვოიკოვის მკვლელობა საძაგელი შეურაცყოფა იყო, მაგრამ ის არ იყო უფრო მეტი ინ საძაგელ შეურაცყოფაზე, რომელიც რუსეთის კომეუნისტურ მთავრობას სოციალდემოკრატებისთვის მიუყენებია. მე მეტათ კმაყოფილი ვარ, რომ გენერალურმა საბჭომ და პარტიის ეგზეკუტივმა ახლა ნათელყო ჩვენი პოზიცია. ამ მკვლელობაში ბოლშევიკები ყველას ბრალს სდებენ და ოცი კაცის გაუსამართლებლივ დახვრეტით სისხლის წყურვილს მხეცურათ იკმაყოფილებენ. ეს კი მაჩვენებელია არა მათი სიმაგრის და წონასწორობის, არამედ იმ პანიკის, ნერვიულობის და სიძულვილის. რაც ასე ახასიათებდა მეფის რეჟიმს და რაც ასე ახასიათებს დღეს კაპიტალისტურ მთავრობებს იტალიაში, უნგრეთში და ბალკანეთში». ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ბოლშევიკები განა ათასჯერ უფრო მეტ სიმხეცესა და ბარბაროსობას არ ჩადიოდენ რუსეთში და საქართველოში? მაგრამ მაშინ ბოლშევიზანობით დაბრმავებული ინგლისელები თვალს არიდებდენ აღმაშფოთებელ ფაქტებს. კარგი რომ ეხლა გაცილებით უფრო ნაკლებსაც მიაქციეს ყურადღება.

* * *

ივლისის დამლევს ქ. საუთპორტში შეიკრიბნა მემადაროთა წლიური კონფერენცია, რომელსაც ყველა დიდის ინტერესით მოელოდა. გასული წლის გმირული ბრძოლის შემდეგ ეს პირველი წლიური კონფერენცია იყო; ამ ბრძოლის ანგარიშის გარდა მას უნდა გაეცა პასუხი შემდეგ სამ კითხვაზე: 1) ინგლისელ და რუს მემადაროეთა კომიტეტი, 2) კომუნისტურ პარტიის მუშათა პარტიაში დაშვება და 3) მემადაროეთა ფედერაციის რეორგანიზაცია.

ანგლო-რუსული კომიტეტის მარცხმა დიდი აუოზაური გამოიწია, როგორც რუსეთის, ისე აქაური კომეუნისტების წრეებში; მათ მიერ მიღებულ ცნებები ზომები, რათა ეხლაეე დაარსებულიყო ინგლისელ და რუს მემადაროეთა კომიტეტი, რომელსაც ანგლო-რუსული კომიტეტის მაგიერობა უნდა გაეწია. მკითხველმა იცის, რომ მოსკოვი ინგლისელ მემადაროეთ «მსოფლიო რევოლუციის» ბურჯად სთვლიდა, ისინი თითქმის თავის მრეველთ მიანნდა. თან კუკი გადაჭრით დაპირდა ბოლშევიკებს ორივე ქვეყნის მემადაროეთა კომეუტეტის საჭიროთ დაარსებს. უმთავრესათ ამ მიზნით იყო. რომ რუსებმა შარშან ინგლისელ მემადაროებს მილიონნზე მეტი გირვანქა სტერლინგი გადმოუგზავნეს. ამიტომაც კომუნისტების ბრაზს საზღვარი არ ქონდა, როცა მემადაროეთა ფედერაციის თავმჯდომარეს და კონფერენციის თავავრმა მომხსენებელმა ჰერბერტ სმითმა რუსების მილიონნზე სიტყვაც არ დასძრა, ხოლო კონფერენციამ ინგლისელ და რუს მემადაროეთა ცალკე კომიტეტის დაარსებაზე უარი სთქვა. საქმე გათავდა რეზოლუციით, სადაც გამოთქმულია სურვილი, ყველა ქვეყნების მემადაროეთა გაერთიანებისა. მოსკოვს მილიონი წყალში ჩაუცვივდა. თან მს ზურგი უბრუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მუშათა კლასის სწორედ იმ ძლიერმა რაზმმა, რომელიც «მსოფლიო-ეროვნულიანის» ავანგარდათ გამოაცხადა. ამის შემდეგ გასაგებია ის უშვერი ლანძღვა-გინება, რომლითაც საბჭოთა პრესა ინგლისელ მემადაროთა მეთაურებს უმასპინძლდება.

კომუნისტური პარტიის მუშათა პარტიაში დაშვების საკითხზე მუშათა პარტიის დადგენილების თანახმათ კონფერენციამ დიდის უმრავლესობით უარი უთხრა კომუნისტებს.

ფედერაციის რეორგანიზაციის საკითხი გადაიდო, სანამ რაიონები წარმოუდგენდენ თავიანთი შეხედულებას.

ანტი-ტრადუნიონულ ბილის გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც გმობს მთავრობის პოლიტიკას და მოუწოდებს მუშებს დაირაზმონ ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში ამ სამარცხვინო ბილის გასაბათილებლათ. კონფერენციის ნერვიულობას იწვევს კომუნისტების წარმომადგენელის—ჰორნერის გამოსვლა, რომელიც მოითხოვს ბილის საბრძოლველათ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას და იცავს ბრძოლის ბოლშევიკურ მეთოდს. ჰორნერის წინააღმდეგ ერთი მეორეზე სასტაკათ ილაშქრებენ დელეგატები. დაბოლოს სიტყვას იღებს მოხუცი სმითი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: «კომუნისტებო, ნუ ანგრევთ ჩვენ მოძრაობას. მე ეყოფილვარ რუსეთში და გულ ახდილათ ვაცხადებ; იქაური, რომ ვიყო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მეც რევოლიუციონერათ ვიქნებოდი განწყობილი. რუსეთში მუშები არაფერთ განსხვავდებიან მონებისაგან. ისინი იქ ყოველივე უფლების მოკლებული არიან სასაცილოა ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შედარება». კომუნისტის ჰერნერის ხმა იყო ხმა მღაღადებლის უდაბნოსა შინა. სდუმდა თვით მეტიჩარა კუკიც.

ბ.

ლონდონი. იელისი-აგვისტო, 1927 წ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობიდან.

მიმდინარე ზაფხულში ადგილი ქონდა მრავალ მუშათა სინდიკალური ორგანიზაციების ყრილობებს, როგორც ეროვნულს ისე ინტერნაციონალურს.

სეზონი გახსნა ინგლისის მემადაროთა კონგრესმა. შესდგა ავრეთვე ინგლისის მეზღვაურთა ნაციონალური ფედერაციის კონგრესი, საფრანგეთის შრომის კონფედერაციისა მე-19, თერთმეტი ფედერაციის ნაციონალური ყრილობა, მბეჭდავ მუშათა მე-10 საერთაშორისო კონგრესი, მელითნეთა მე-11, დალაქთა საერთაშორისო. შუშაზე მომუშავეთა საერთაშორისო და თვით ამსტერდამის გაერთიანების საერთაშორისო მორიგი კონგრესი პარიზში. ზემო ჩამოთვლილი ორგანიზაციები ყველანი შედიან ამსტერდამის გაერთიანებაში. უკანასკნელის კონგრესზე იყო წარმოდგენილი 15.000.000-მდე შეკავშირებული მუშა, 23 მთავარი ეროვნება და 27 ცალკე კავშირთა სეკრეტარიატი.

ამ კონგრესებზე მონაწილეობა მიიღო მთელი ევროპის მუშათა ორგანიზაციებმა გარდა რუსეთისა და იტალიისა, სადაც დიდი ხანია უკვე აღარ არსებობენ მუშათა კავშირები და თვით მუშები ფაქტიურათ მონებათ არიან გადაქცეულნი.

თითქმის ყველა ამ ყრილობებმა განიხილეს ა ა ა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გაიტანდენ. ამ გამოაშკარავებამ მოახდინა გამსქდარი ბომბის შთაბეჭდილება: ᲙᲠᲔᲚᲘ-ᲡᲐ და მის ამხანაგებს ენა ჩაუვარდათ.

იგივე ბედი ეწვია «საერთო ფრონტის» საკითხს საფრანგეთის შრომის გენერალურ კონფედერაციის კონგრესზე. კონფედერაციიდან ამ რამდენიმე წლის წინეთ გათიშული ᲙᲐᲖᲘᲠᲘ (Გ. ᲤᲝᲓᲔᲠᲘᲡ «სეკტეეუ»). რომელიც ფაქტიურად კომუნისტური ორგანიზაციაა, «საერთო ფრონტის» საფარით მოითხოვეს, რომ მისი ფედერაციები (ნაციონალური სინდიკატები) დაშვებულ იქნან შრომის კონფედერაციაში, როგორც მთლიანი ორგანიზაციები. ამ წინადადებას მიზნად აქვს, რა თქმა უნდა, შრომის კონფედერაციის შიგნიდან აფეთქება. მაგრამ საფრანგეთის პროფესიონულ მოძრაობის მოღვაწეებს საკმაო გამოცდილება აქვთ, რომ კომუნისტურ ფინეს ეს ჩამოეგონ: კონგრესმა დაადასტურა ხელმძღვანელ ორგანოს ხაზი—რომ სეკეტეუს წევრებს შეუძლიათ ინდივიდუალურათ დაბრუნდეს შესაფერ სინდიკატებში, მთლიან ფედერაციის მიღება კი არას შემთხვევაში არ იქნება დაშვებული. კონგრესმა სრული ნდობა გამოუცხადა გენერალურ საბჭოს და ხელახლა აირჩია მისი ძველი შემადგენლობა.

* * *

ამსტერდამის საერთაშორისო გაერთიანების კონგრესზე პარიზში ამ საკითხმა მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო, რის მიზეზიც იყო ის სრულიად ყალბი და ამსტერდამისათვის შეურაცყოფელი მდგომარეობა, რომელსაც ქმნიდა ცნობილ პერსელის გაერთიანების თავმჯდომარეთ ყოფნა. ამტყდარ კრიზისს საბაბი მისცა თვით პერსელმა. მან, როგორც თავმჯდომარემ, წარმოსთქვა კონგრესის გასახსნელი სიტყვა, რომელშიც გაატარა თავიდან ბოლომდე არა ამსტერდამის. არამედ მოსკოვის ხაზი. ეს იყო ნამდვილი უზურპაცია მთელი ამსტერდამის ინტერნაციონალის საზოგადოებრივი აზრის.—ჩვენს ინტერნაციონალს უკეთესი სახე ექნებოდა—სთქვა მან, რომ მას შეემატებინა ის ძალიერი ენერგია და ახალი სისხლი, რომელიც დღეს რუსეთის პროფკავშირებში სჩქეფსო.

ამ უმაგალითო გამოსვლითან პერსელმა დაიმსახურა კონგრესის საერთო გულისწყრომა და აღშფოთება. პირველ ყოვლისა მის წინააღმდეგ გამოვიდენ მისი უახლოესი კოლეგები—ბიუროსა და კონგრესის პრეზიდიუმის წევრები. თავმჯდომარის ამხანაგმა, ფონგმა ᲥᲣᲛᲐ განაცხადა, რომ არც ერთი წევრი ბიუროსი და არც პრეზიდიუმისა (ᲐᲠᲐᲕ ᲑᲠᲝᲜᲣᲜᲘᲡᲐ) არ იზიარებს პერსელის მიერ გამოთქმულ აზრებს. გამოდიან რიგრიგობით პრეზიდიუმის წევრები და სხვადასხვა ქვეყნების და ფედერაციების წარმომადგენელნი და იმასვე აცხადებენ. ᲒᲝᲠᲗᲚᲔᲜᲘ ᲒᲠᲝᲛᲡᲘᲜᲘ აცხადებს, რომ პერსელის გამოსვლა იყო შეურაცყოფა ამსტერდამის ინტერნაციონალის. ასევე ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘᲡ, ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘᲡ და სხვები.

პერსელს გამოესარჩლა მხოლოდ ინგლისელივე ᲑᲠᲝᲣᲜᲘ. მისმა გამოსვლამ გამოიწვია არა ნაკლები მღელვარება, ვინემ პერსელისამ. ᲑᲠᲝᲣᲜᲘᲗᲐ განაცხადა თითქოს ამსტერდამის ბიუროს უმრავლესობა (ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ფედერაციების წარმომადგენელნი) საბოტაჟს უწევდენ რუსების შემოსვლას ინტერნაციონალში, მაშინ როდესაც რუსებს ᲒᲣᲚᲬᲧᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐ სურდათ გაერთიანებანა. ამის დასამტკიცებლათ მან წაუკითხა კონგრესს ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐ მდივნის, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘᲡ უდეგლესის წერილი, ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ მიწერილი ᲔᲣᲧᲝᲡᲗᲕᲘᲡ. აღმოჩნდა, რომ ეს წერილი ᲔᲣᲧᲝᲡ ᲐᲠ მიუღია, ხოლო ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲡ 3 წელიწადი უტარებია ᲯᲠᲘᲜᲘᲗ, რათა საჭირო მომენტში გამოეყენებია. უდეგლესმა წამსვე განაცხადა, რომ წერილის ინგლისური თარგმანი, რომელიც წაიკითხა ᲑᲠᲝᲣᲜᲘᲗ, ყალბია და რომ მას საშუალება არ აქვს კონგრესზევე აღადგინოს სწორი ტექსტი, რადგან ის არ მოელოდა ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲡ ასეთ არა სინიდისიერ თავდასხმას და წერილის კოპია ამსტერდა მიდან არ წამოუღია.

ეს გარეგნულად პიროვნებათა, ხოლო ნამდვილათ ამსტერდამის ინტერნაციონალის სასიკეცხლო საკითხი კონგრესმა გადასცა გასარკვევათ კომისიას.

კომისიაში ᲑᲠᲝᲣᲜᲘᲡ მხარი დაუჭირა მთელმა ინგლისის დელეგაციამ; ამიტომ უდეგლესმა კონგრესზე შეიტანა განცხადება: ჩემს თანამდგომობას ვტოვებ, რადგან დავრწმუნდი, რომ აღარ მაქვს ნდობა ერთი სექციისო.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ მაგალითის მიბაძავდენ ინგლლიელები პერსელი და ᲑᲠᲝᲣᲜᲘ. მათ ხომ თითქმის ყველა დელეგაციებმა, გარდა ინგლისისამ, უნდობლობა გამოუცხადეს. მაგრამ იმათ არამც თუ გადადგომა არ ისურვეს, არამედ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲮᲔᲚ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ახალ არჩევნებშიაც არ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა. საქმე გაართულა ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ. მან განაცხადა, რომ პერსელი ინგლისის ტრედუნიონების კანდიდატია, რომ მათ არ შეუძლიათ მისი მოხსნა და ითხოვენ მის ხელახლა თავმჯდომარედ არჩევას. წინააღმდეგ შემთხვევაშია—იმუქრებდნენ—ინგლისის ტრედ-უნიონები იძულებული იქნებიან სრულიად გავიდეს ინტერნაციონალიდანო.

მეკობელმა უნდა იცოდეს, რომ ტრადიციით, 1924 წლის შემდეგ, ამსტერდამის გაერთიანების თავმჯდომარეობა ინგლისელს აქვს მიკუთვნებული, კანდიდატს თვით ინგლისელები ასახელებენ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს პარლამენტთა საკითხი ნაამდვილათ სასიცოცხლო საკითხი იყო ამსტერდამის ინტ—სთვის. ამიტომ კონტინენტის დელეგატები გადაჭრით წინააღმდეგენ ინგლისელების ჯიუტობას, რომელიც უფრო ეროვნული თავმოყვარეობით იყო ნაკარნახევი, ვინემ პარლეთის პატივისცემით. ინგლისელების მიერ წამოყენებულ პერსელის კანდიდატს დელეგაციებმა დაუპირდაპირეს ინგლისელივე ხიკი, ეხლახან ტრედუნიონთა კონგრესის თავმჯდომარე, ეს ხიკიც ბოლშევიზანათ ითვლებოდა, რუსებთან გაერთიანებისთვის იღვწოდა, მაგრამ ამას იგი გულწრფელად სჩადიოდა, სწამდა რომ რუსები «მოუკეთიანებდიდენ» და ამ ბოლო ხანებში გული აუცრუდა «საერთო. ფრონტზე», მაშინ როდესაც პერსელი იქცეოდა და იქცევა როგორც მოსკოვის აგენტი და ინტერნაციონალში «საერთო. ფრონტის» მანიფოვრის გამტარებელი. ინგლისელებმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღეს: ხიკსმა მიიღო 68 ხმა, პერსელმა კი ერთი! ბრიუსის კანდიდატურა არც კი ყოფილა წამოყენებული.

«პარსელის ეპოქას» კონგრესმა სორგანიზაციო დასკვნაც გაუკეთა: გაუქმებული იქნა ამსტერდამის ინტ—ის თავმჯდომარის კონგრესის მიერ არჩევა. კონგრესი ირჩევს მხოლოდ ბიუროს წევრებს (და გენერალური მდივანს), ხოლო ესენი—თავმჯდომარეს.

ამგვარათ მოხდა «პერსელიადას» ლიკვიდაცია ამსტერდამის ინტერნაციონალში, ეს საერთაშორისო გაერთიანება გაჯანსაღდა, ბოლო ეღება ინ ორეოფობას, რომელსაც ქმნიდა მსოფლიო მუშათა უდიდეს ორგანიზაციის სათავეში მოსკოვის აგენტის ყოლა და რომელმაც ამოდენა ზიანი მოუტანა ამსტერდამს. მოიგონეთ პერსელის მეზავრობა რუსეთ-საქართველოში, ის აღშფოთება, რომელიც მისმა მოხსენებამ გამოიწვია მსოფლიო მუშათა და სოციალისტურ წრეებში. მაშინაც ხომ პერსელი ამსტერდამის თავმჯდომარეთ იყო. შემდეგ, მისი მოგზაურობა ამერიკაში, იქაურ სინდიკატების ყრილობაზე მისი გამოსვლა მოსკოვის ადვოკატის როლში, რამაც ამერიკის მუშათა მოძრაობას ხელი შეუშალა ამსტერდამთან დაახლოების საქმეში. დიდი სამსახური გაუწია პერსელმა მოსკოვს. მარა მან გაკეკთა რის გაკეთებაც შეძლო. მომავლისთვის კარი წარმოადგენს საჭიროებას ბოლშევიკებისათვის და აკი აუტანდენ კიდეც: «პრავდამ» კონტრრევოლიუციონერთა ბანაკში მოაქცია. ჩემბერლენის გვერდით დააყენა!

საყურადღებოა, რომ სწორედ პერსელების მზის ჩასვენების ხანაში ხდება თვით ინგლისის მუშათა ყველაზე უფრო მემარცხე ნაწილი ერთგვარი გადატეხა «მარჯვნივ». გასული წლის დამარცხებამ, რომელშიც მოსკოვმა თვალსაჩინო როლი ითამაშა, ჩაადფიქრა ბემაღაროელი. კუკის და კომპანიის დემაგოგიამ მუშათა ეს ძლიერი კავშირი დაასუსტა და დააქუცმაცა კიდეც. მას ჩამოშორდა წევრთა საგრძნობი ნაწილი, რომელიც სპენსერის ხელმძღვანელობით თავს იყრის ახალ, პოლიტიკის გარეშე მდგომ კავშირში. ხოლო მეორე კავშირი (მემაღაროელთა ძველი კავშირის კონგრესის შესაბამ იხ. ამავე ნომერში ამხ. კ-ის წერილი ლონდონიდან) უარს ამბობს კუკის ხელმძღვანელობაზე, ზურგს აქცევს მოსკოოს და უახლოვდება ზომიერ გზას.

* * *

ამის შემდეგ არავის გაუკვირდება, რომ ინგლისელ მეზღვაურთა კავშირმა სავსებით მოიწონა მისი თავმჯდომარის, ჯეველოვ ვილსონის ხაზი, დიდის უმრავლესობით აირჩია ის ხელახლა ძველ პოსტზე და ვილსონისეე წინააღდეგნი გადაავყენა გამგეობიდან ოთხი ლიდერი მეშარცხნე ფრთისა, მათ შორის გენერალური მდივანი დევინსიც. კავშირმა თავისი განცხადება ტრედუნიონთა გენერალურ საბჭოდან გამოსვლის შესახებ უკან წაიღო. მიზეზი განცხადების შეტანისა იყო ტრედუნიონების მარცხნით გადახრა, რასაც, კავშირის აზრით, ეხლა უკვე ადგილი აღარ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რუსეთში მიემგზავრება კიდევ ერთი ახალი დელეგაცია ეხლა უკვე ამერიკიდან. სახელათ მასაც მუშური დელეგაცია ეწოდება, თუმცა ის კაპიტალისტთა ხარჯზე და საბჭოთა სუბსიდიებით აკეთებს ამ გასაჩვენოდ ექსკურსიას.

ამერიკის მუშებმა და მათმა ორგანიზაციებმა უარი სთქვეს ამ არამკითხე-მოამბეებზე და საჯაროთ აცხადებენ, რომ ისინი არავის არ წარმოადგენენ გარდა საკუთარი თავისა და რომ ამერიკის მუშათა ორგანიზაციებს არ მიიჩნიათ მიზანშეწონილათ რუსეთში დელეგაციის გაგზავნა.

როგორც დელეგატებმა განაცხადეს ლონდონში, ამ დელეგაციის გაგზავნაში დიდი როლი მიუძღვის მისტერ პერსელს. ამერიკაში ყოფნის დროს მას მოლაპარაკება გაუმართავს იქაური კაპიტალისტების იმ ნაწილთან, რომლებიც დაინტერესებული არიან რუსეთთან აღებ-მიცემობის გაჩაღებაში. მათ უშოვნიათ მოახლისეთა მთელი ჯგუფი მუშებში და უკისრიათ ამათთვის სამგზავრო სუბსიდიის მიცემა.

როგორც ეტყობა მისტერ პერსელს ასეთი «საქმეები» უფრო ეხერხება ვინემ მუშათა მოძრაობის უმადური ხელმძღვანელობა.

მ. —ელი.

ტყუილების გროვიდი.

ცნობილია, რომ კომუნისტური პრესა მთელ ქვეყანაზე სავსეა ყოველნაირი ტყუილებით და ცილისწამებით. ეს მორალური გახრწნა მოდის მოსკოვიდან. თვით მათმა დალაი-ლამამ ლენინმა საქვეყნათ აღიარა და დასწერა, რომ ტყუილი და ცილისწამება მისთვის სავსებით მისაღებია. თუ კი ამით მოწონაალმდეგეს გავაშავებო (იხ. მისი სიტყვა 31 მენშევიკის გამო). მაგრამ ამ სფეროშიაც რამოდენიმე გარჩევაა. რაც ნაკლები ნიადაგი აქვთ კომუნისტებს თავის ხალხში. მით უფრო ფართეთ სარგებლობენ ლენინის ცნებით და ტყუილებით სურთ დაფარონ თავიანი უსუფურობა. ამ მრრით ყველაზე უფრო თავი ისახელა ქართველმა კომუნისტებმა. ეს ვაკბატონები პირს ისე ვერ გააღებენ, რომ ასში ერთი სიმართლე მაინც გაუჩიონ. და რომ ჩვენ ხელმბათ აგვეღო მათი ტყუილების მხილება, მაშინ «ბრძოლის» ყველა ნომერი მაგ საქმისათვის უდა შეგვეწირა. ჩვენ დარწმუნებული ვართ. ქართველი მკითხველი ამ ბოროტ ხალხს კარგათ იცნობს და მათ ცრუპენტელობას ოდნავათაც არ დაიჯერებს.

მაგრამ ამ ბოლო დროს ბოლშევიკებმა წონასწორობა დაკარგეს და თავიანთი გამოცვლების ფურცლებს ახალ-ახალი ჭორებით ავსებენ განსაკუთრებით ქართველ ემიგრაციის შესახებ, ვინაიდან ფიქრობენ ემიგრანტები საქართველოდან შორს არიან და ამიტომ ხალხს ადვილათ დავაჯერებთო.

ერთი მორიგი ჭორი ამ უკანასკნელათ გამოახტუნა ცნობილმა ჩეკისტმა ლ. ლოლობერიძემ. ე. წ. ქართველ ინტელიგენციის კრებაზე მან სთქვა, რომ 1924 წ. აჯანყების შემდეგ ნ. ჟორდანია შევიდა მოლაპარაკებაში დამიტრი სოკოლოვთან ბოლშევიკებთან შერიგების შესახებო. რომ ამ ცოტობისათვის სიმართლის ელფერი მიეცა, მან ამ მოლაპარაკების მუსლებიც კი მიიყვანა. ჩვენ მიერ ამ საგანზე შეკრებილ ცნობებით მტკიცდება, რომ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და მთელი ეს საქმე მიეწერება ამ ჩეკისტის ჩვეულებრივ ფანდებს. სოკოლოვი მართლა ყოფილა პარიზში 1925 წელს და მისი ჩვეულებისამებრ დაუწყია ამ საგანზე ლაპარაკი ყველა ქართველისათვის, ვისაც კი შეხვდებოდა. მხოლოთ როცა ნ. ჟორდანიასთან მიმდგარა ასეთი ლაპარაკით, მისგან ცივი უარი მიუღია ამ ლაპარაკის გაგრძელებაზე, რის შემდეგ არც კი გამოჩენილა.

ასეთივე მოჭორილია გაზეთ «კომუნისტში» მეორე ამბავი ნ. რამიშვილისა და ალ. ასათიანის შესახებ. აქ მართალია მხოლოდ ერთი რამ: ასათიანმა მართლაც მოისურვა სკანდალის ატეხა, რამაც მიიღო უბრალო ჩხუბის ხასიათი. მაგრამ ამ უსიამოვნების ის ვერსია, რომელიც «კომუნისტშია» გამოქვეყნებული, თავიდან ბოლომდე მოჭორილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოთ ბოლშევიკებს დაეკარგათ რა ყოველნაირი ნიადაგი ჩვენშიც, ცდილობენ ეს დიდი ნაკლი შეავსონ განუწყყვეტელი მიეთმოეთობით. ჩვენს გაზეთს პრინციპიალური დავით ვერფური დააკლეს და ახლა გაწიწმატებულნი ჩვენს თანამშრომლებს კერძო ცხოვრების გამოქექას შედგომიან და აქაც ჭორები მოუყოლნიან. საწყალ «ახალ გზელთ» და მათ აღებს მეტი არა დარჩენიათ რა.

PRO DOMO SUA.

«ახ. გზამ» საგანგებო წერილი მიძღვნა (იხ. «ა.-გ.» № 30: «ბრძოლის კალმოსანი დ. გ. შარაშიძე»). რომელსაც ხელს აწერს ვინმე ჩემთვის უცნობი და, ალბათ, ჩემი არამცნობი სანდრო გვიმოძე. ვეკვთ, რომ ეს საუცხოო ნაწარმოები ეკუთვნოდეს ბ-ნ გვიმრაძეს, რომელსაც, მის მცნობ პირთა მოწმობით, ამ ორი-სამი წლის წინ მოკითხვის წერილის შედგენა უჭირდა თურმე. თუ ეს ჩემი «ბიოგრაფია» მართლა მისი დაწერილია, უნდა მივულოცოთ პეტრე გელეიმშვილს: ფრიად ნიჭიერი წამბაძავი შეუძენია მისთვის სასახელო ლიტერატურულ ქანრში: იგივე სტილი, იგივე რუსულ ყაიდის გინება ახრების ადგილს, იგივე მანერა დავის პირადულ ნიადაგზე გადატანისა და მოწინააღმდეგის ჭორით და ლაფით გამასპინძლებისა, რაც პეტრეს მთავარ ლიტერატურულ თვისებას, მის «მეორე ბუნებას» შეადგენს. მოწაფემ ლამის თვით მაესტროს გაუსწროს: ამდენი სიმყრალით შეზავებული ჭორის გუდა, ჩემის ცნობით, ჯერ არავის გამოუტანია ლიტერატურაში და არც გამოიტანება თუ არ «ახ. გზის» ფურცლებზე. და სწორედ ამიტომ პეტრეს alter ego-ს ამგვარი გამოლაშქრება ჩემი «მცირეობის» წინააღმდეგ ნამდვილი ლიტერატურული სიღატაკის მოწმობაა ახალგაზელთათვის. რომელი მკითხველი ვერ მიხვდება, რომ ამ ხარისხის «პოლემიკური» იარაღით სარგებლობა შეეძლო მხოლოთ იმათ, ვისაც «ბრძოლის» მხილებამ გონება და გრძნობა აურია! სრანს ჩვენი ჟურნალის ლიტერატურული ისარი სწორად სცემს, ისარნაკოვნი მოგვიიგიბის უნარს კკარგავენ ბარეშე ჭორიკანობისა და ქეჩური გინებისა. და ეს «ბრძოლის» უნიჭო «მჯღბანელისათვის» მცირე დაკმაყოფილება არ აარის.

დ. შარაშიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ჟურნალ «ბრძოლის» მორიგ ნომერში მომითავსოთ შემდეგი განმარტება.

12 ივლისის «კომუნისტში» მოთავსებული იყო ინტერვიუ ბ. ხაბურძანისა, რომელიც ახასიათებს რა მეწმეველიკური პარტიის საქმიანობას ქ. პრაღაში, ყოფს ადგილობრივ პარტიის ორგანიზაციას ორ ჯგუფად. ეგრეთ წოდ. «ეუმპარიტ ანუ მეავე» მეწმეველებთან და «ოპოზიციონერებად». ამ უკანასკნელ ჯგუფს მიკუთვნებული ვარ სხვათა შორის მეც.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: დღიდან ჩემი გადმოსახლებისა (1922 წ.) საზღვარგარეთ, საცა მე ვიმყოფები ამჟამად, მე არავითარ ოპოზიციონურ ჯგუფს არ ვეკუთვნოდი და არ ვეკუთვნი. პირველ ყოვლისა მე ვცნობ და ვეკუთვნი ს. ს. დ. მ. პარტიას და შემდეგ მის ორგანიზაციას ქ. პრაღაში, სადაც მე ვმუშაობ დღემდის.

ამხანაგური სალამით ვლასა ს. ინზერვეელი.

პრაღა, 14 აგვისტო, 1927 წ.

Rédaction et Administration:
M-r. D. Charachidsé.
8. Cité Rondelet. Montrouge (Seine)

Le Gérant: G.-A. Bernard.

Imprimerie A. Lejeune. 95, Grande Rue. Arpajon (S. et. O.)